საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 30 ივნისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 145 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 145

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

მინადორა გიგოს ასული ლოლუა თავისი შვილით ქორათი, მელენტი ანტონის ძე ლოლუა, ანტონი ალექსის ძე ჯიბლაძე, აუწყებენ გადაცვალებას პირველი—დაუვიწყარი მეუღლისა და მაზლისა, მეორე ძმისა, მესამე სიძისა

ალექსანდრე და ბესარიონი ბეჩუნიას ძე ლოლუებისა.

გარდაიცვალენ ქ. ეკატერინოდარში ტიფით—ბესარიონი 4/5 და ალექსანდრე 24/5—20 წ. (2087—1—1)

სამხედრო სასანიტარო სექციის უფროსი და მისი თანამშრომელნი გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთ და მეგობართ სადარაჯო ათასეულისა უფროსი ექიმის

დავით ივანეს ძე კერესელიძის

გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ 30 ამა ივნისს საღამოს 5 საათზე ალექსანდროვის ქ., № 23 და დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2093—1—1)

ქვრივი თამარა სამსონ ქუთათელაძის ასული ფაღავასი, დედა თამარ მიხეილ შერვაშიძის ასული ფაღავასი, მამა ნოე (იგივე კიწი) ფაღავა, გამზრდელი ბატუა ფაღავასი და ძმის წული ბაბუსია კოკი დადიანის ასული, ულრმეს მადლობას ვსწირავთ იმ პირებს, ვინც პირადათ, ტელეგრამით და წერილით ანუგეშა ზარ დაცემულნი, ჭირისუფლები უკვე უდროვოთ გარდაცვალებულის ტრაგიკულათ პარუჩიკი

ადრიანე (იგივე ჯვებე) ნოეს ძე ფაღავას

დაკრძალვის დროს. (2099—1—1)

პირველი ქართული-კლუბის ხელზე მოსამსახურეები აუწყებენ ამხანაგებს, რომ დღეს შესრულდა 40 დღე გარდაცვალებიდან ძვირფასი ამხანაგის სახ. გვარდიელის

სიმონ ქაიხოსროს ძე უიფიანის

რომელიც გმირულათ დაიღუპა წითელ აზერბეიჯანთან ბრძოლის დროს. (2101 1—1)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (ნ. 15—12)

არტისტიული საზოგადოების თეატრი

დრამა „ტარტო“

ოთხშაბათს, 30 ივნისს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა ცნობილი არტისტი ქალის

ე. ტ. ჟიხარევის მონაწილეობით

1) ელექტრა

ტრაღედია ჰოფმან სტალისა.

2) დიონისეს დღესასწაული

ხორეოგრაფიული სურათი პრიმა ბალერინა **ბაუერზაქსის** მონაწილეობით ხელმძღვანელობს **ვაკარეცი.** დასაწყისი საღ. $8^{1}/_{2}$ საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში, და „კაფე დარბაზში“. (ნ. 2—2)



საზაფხულო კლუბი და ბაღი „მერცხალი“

პლეხანოვის პროსპ.. (მიხაილ.), 65.

ვისაც სურს სიამოვნებით და ხელსაყრელ ფასებში; კარგი, ახალი სურსათი და მასალისაგან მომზადებული—**ევროპიული და კავკასიური** სადილი მიირთვას, გამოეშურეთ კლუბი **„მერცხალი“**-ს ბაღისკენ. ხის ქვეშ გაშლილი მაგიდა, სხვადასხვა სანოვაგეებით სავსე, მუსიკით წინ მოგეგებებათ.

2—5 საათამდის. | სადილი 2 თავი პურით 100 მ.
— 3 თავი პურით 120 მ.

ყველა სადილის მსურველთ, რომ თავის დროზე დაკმაყოფილდეს, შეუძლია კლუბის ბუფეტის გამგესთან ადრე ჩაეწეროს. საჭმელები მზადდება ქალაქში ცნობილ მზარეული ალექსოს ზედამხედველობით. (2076—2—2)

სახელოვნო ცენტრი

თანახმად სახელოვნო ცენტრის პრეზიდიუმის დადგენილებისა, გამოიცემა ყოველთვიური სახელოვნო ჟურნალი

ხელოვნება

შემდეგის მანყოფილებებით:

1. სიტყვა-კაზმული მწერლობა (პოეზია, ბელლეტრისტიკა, დრამატურგია, ესტეტიური კრიტიკა).
2. თეატრი.
3. მხატვრობა.
4. მუსიკა.
5. ხელოვნების ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

ავტორებმა მასალები უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: თფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა, 5. მსახიობთა კავშირის კონტორა, კონსტანტინე ანდრონიკაშვილს. (ნ. 2—2)

მეტად გრილი

კინემო

მინიონი

27, 28, 29, და 30 ივნისს

პირველათ ტფილისში მხოლოდ ჩვენს თეატრში

კონან დოილის რომანით

ახალ ახალი თავგადასავალი ცნობილი ჯაშუშის

შერლოკ ხოლმსისა

სურათში

„თეთრი ფურცელი ქაღალდის საიდუმლოებანი“

დედექტიური დრამა 4 აქტათ. (2064—1—1)

პროგრამის გარეშე

გადაღებულია ნატურიდან ცეკავშირის მიერ ბ. ი. გოგიტიძის ხელმძღვანელობით

აზერბეიჯანის ფრონტი

სურათი 2 ნაწილათ, მდიდარი მრავალი მომენტებით, რომლებიც ნათლათ ახასიათებენ საყვარელ სამშობლოს მცველებს საქართველოს მამაც ჯარს და სახალხო გვარდიას.

ფოილის, წითელი და სადახლოს ხიდზე და სხვ.

საზაფხულო კლუბი და ბაღი „მერცხალი“

პლეხანოვის (მიხ.) პროსპ., № 65.

პირველად!—პირველად!—პირველად!

ხუთშაბათს, 1 ივლისს კლუბი „მერცხალის“ საზაფხულო ბაღში გამართული იქნება ბავშვებისთვის გასართობი

დიდი საღამო

ბავშვების გასართობი საღამო გაიმართება ცნობილი ს. დ. სიმკოვიჩის ხელმძღვანელობით.

გეგმა: კარნავალი, ბალეტი, სიმღერა, დეკლამაცია, დივერტისმენტი და სხვ. **პირველად!—პირველად! თფილისში**—8 საათიდან **საცეკვაო საღამო.**

დასაწყისი ბავშვების 5—8 საათიდან. დიდების 8—11-მდის.

მამასახლისთა საბჭო.

თუ ავდარი იქნა საღამო გადაიდება შაბათისთვის 3 ივლისს. (2077—2—2)

გაღებულია ბაღი-რესტორანი

ეთერი

ქსენიას ქუჩა № 3.

ყოველ დღე საუკეთესო სადილები 2 - 5 საათამდე, მუსიკა, ღია სცენა კაბარე განსაკუთრებული პროგრამით. ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო ძალები: ოპერის და ოპერეტკის მსახიობნი ქალები და კაცები. დაწვრილებით აფიშებში.

(2080 2—2) **დირექცია.**

შაბათს, ივლისის 3-ს მუშტაიდის კლუბში

გაიმართება

ნოე ჩხიკვაძის საღამო

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება. წმინდა შემოსავალი გადაეცემა გარდაცვალებულის ობლებისათვის.

დიდუბის

8 კლასიანი სრულ-უფლებიანი გიმნაზია

დ. ი. ბეროზაშვილისა

აცხადებს, რომ 29 ივნისიდგან დაიწყება მიღება თხოვნებისა და დოკუმენტებისა: საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებისა და I, II, III, IV, V, VI და VII კლასებში. საანბანო განყოფილებიდგან სწავლა იწყება ქართულ ენაზედ. კანცელარია ღიაა დილის 9—1 საათამდე ყოველ დღე.

დიდუბის ქუჩა, № 1. (2081—1—1)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

კომერციული ბიულეტენი

ქალაქთა კავშირის საწყობში მიღებულია და იძლევიან შემდეგ საქონელს:

ფანჯრის შუშები პატარა ზომისა—1—75 კ. კვად. ვერშოკი.
(ყუთებით) დიდები—2 მ. 25 კ. კვად. ვერშ.
რეზინის კალოშები რუსული ტიპისა მაგარი ქუსლებით.
ალიომონოვის ჰურჰლები.
ინგლისური საღებავები.
ჩოთქები (კისტები).
წებო.
მანუფაქტურა.
საკუთარ ქარხანაში დამზადებული მებელი.
საბეჭდავ მანქანების მწვანე ქაღალდი.
ბოქლომები.

საქონლის მიღებისათვის მიმართეთ საკომერციო განყოფილებას, გოგოლის ქუჩა, № 51. ტელეფონი 11—54.

ნაწილობრივათ ყიდვა შეიძლება სომხის ბაზარი—73. ტელეფონი 18—20. (ნ. 2—1)

მასწავლებელთა ჯგუფი

ვაჟთა მეორე გიმნაზიისა ამზადებს მოწაფეებს შემოდგომის გამოცდებისთვის 1, 2, 3 და 4 კლ. იკითხეთ გიმნ. კანცელარიაში. (2089—1—1)

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი

იღებს საზებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა. მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

(1989—10—4)

საბჭოთა რუსეთის და ინგლისის მორიგება

ევროპის გაზეთების ცნობით ის მოლაპარაკება, რომელიც დიდი ხანია სწარმოებს ევროპის სახელმწიფოთა და საბჭოთა რუსეთს შორის, შეთანხმებით დამთავრებისაკენ მიდის. „ტან“-ის გადმოცემით კრასინს და ლოიდ-ჯორჯს კიდეც შეუმუშავებიათ შეთანხმების მთავარი მუხლები. დედა-აზრი ამ შეთანხმებისა იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისი სცნობს რუსეთის დღევანდელ—პოლიტიკურ წესებს და არ ერევა მის შინაურ საქმეებში. თავის მხრით რუსეთიც დაუყონებლივ გადადის მშვიდობიან წესებზე, უარს ამბობს ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაზე აზიაში და სცნობს იმ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, რომლებიც რუსეთს გამოეყვენ რევოლიუციის შემდეგ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სახელმწიფოთა სიაში საქართველოსთან და სომხეთთან ერთად მოხსენებული არ არის ადერბეიჯანი: როგორც სჩანს, ინგლისი შერიგებია იმ აზრს, რომ ადერბეიჯანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობს და რომ რუსეთს ბაქოზე ხელის აღება არ შეუძლიან.

თვით ფაქტი შეთანხმებისა არ შეიძლება არ ჩაითვალოს სასურველ მოვლენათ დემოკრატიული თვალსაზრისით. ეჭვი არ არის, რომ თუ კი ინგლისი თანხმდება ამ შეთანხმებაზე, იგი მთელი ანტანტის სახელმწიფოების მიერაც იქნება დადასტურებული. ამას შედეგათ მოჰყვება შეჩერება იმ მსოფლიო ომისა, რომელიც 1914 წლიდან დაწყებული ჯერ კიდევ არ გათავებულა. ომის შეჩერება, თუ ბოლოს ვერ მოუღებს, შეარბილებს მაინც იმ საქვეყნო კრიზისს, რომელიც რა ხანია მაჯლაჯუნასავით აწევს მთელს კაცობრიობას. მსოფლიოში თანდათან დამკვიდრდება ნორმალური ურთიერთობა, ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგება, გაძლიერდება საქვეყნო აღებ-მიცემობა, გამოცოცხლდება წარმოება, იმატებს შრომის ნაყოფიერება და სხ. ომის შეჩერება თვით რუსეთზე მოახდენს უდიდესს და ცხოველმყოფელს გავლენას. ჩვენ არა-ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ დღევანდელი სიმტკიცე რუსეთში გამეფებულ საბჭოთა წესებისა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ ჩამდგარია რეაქციასთან მებრძოლის როლში ჯერ არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ რეაქციის საფრთხეარ ყოფილიყოს რუსეთში. შინაური რეაქცია მუდამ გარეშე ძალას ეყრდნობოდა, და ამგვარად საბჭოთა მთავრობა მუდამ იკრებდა თავის გარშემო იმ ცოცხალ ძალებს, რომლებიც იცავდენ რუსეთის ნაციონალურ დამოუკიდებლობას. ყველა იმ საშინელებას, რომელიც რუსეთში გაამეფა საბჭოთა მთავრობამ, მთავარი გასამართლებელი საბუთი ის ჰქონდა, რომ ყველა ეს საჭიროა რეაქციასთან საბრძოლველად და უცხო სახელმწიფოთა მონობის ასაცილებლადო.

მსოფლიო ომის გათავება ხელიდან გამოაცლის კომუნისტებს ამ მთავარ გასამართლებელ საბუთს. ყველა დაინახავს, რომ ის საშინელი განადგურება, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ომის გათავების შემდეგაც ვერაფერს უშველის, შედეგია დღევანდელ რუსეთში გამეფებული პოლიტიკური სისტემისა. დღეს დღეობით მიყუჩებული რუსეთის დემოკრატია ხმას აიმაღლებს და თავის როლში ჩადგება. რუსეთის საქმეების ამნაირი მიმართულება ცხოველმყოფელ გავლენას მოახდენს მსოფლიოზე, კლასთა ურთიერთობაზე დაწინაურებულ ქვეყნებში. ბალშევიზმის მიერ მოხდენილი ნგრევა მუდამ საშინელ მაგალითად იდგა ევროპის დემოკრატიის თვალწინ და მას აფერხებდა სოციალიზმისაკენ სვლაში. რუსეთმა რომ მოიშამოს ეს საფრთხობელა, მრეწველობის მხრით წინ-წასულ ქვეყნების სოციალისტური გარდაქმნა ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

კერძოთ ჩვენი რესპუბლიკისთვისაც ძლიერ სასურველია რუსეთისა და ევროპის შორის მორიგება და მსოფლიო ომის მოსპობა. ჩვენი რესპუბლიკის გასამაგრებლად მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: გარეშე საფრთხისაგან თავის დახწევა. მსოფლიო ომის გათავება და ნორმალური ცხოვრების დამყარება ჩვენს რესპუბლიკაზედაც მოახდენს თავის საკეთილდღეო გავლენას.

პრესა

ბალშევიკური პარტიისკენ რუსეთში გადადიან გზადაბნეული ინტელიგენტები, ისინი ვინც აქამდის საჭიროდ სცნობდენ მის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. ეს მოასწავებს დღევანდელი რუსეთის გახრწნას, გათახსირებას. ეს იმის ნიშანია, რომ დამოუკიდებელი ბრძოლის ხაზი და უნარი არ აქვთ იქაურ ინტელიგენტურ წრეებს, და ხან ერთ კედელს ასკდებიან, ხან მეორეს. „საქართველოს კომუნისტს“ არა გაეგება რა ამ პროცესის, ბავშურ ალტაცებაში მოდის და სწერს:

> „იხრწნება პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგეთა ბურჟუაზიული ბანაკი, კიდევ უფრო იხრწნება და იშლება ამ ბანაკშივე მყოფ სოციალ-გამყიდველთა ყვითელი რიგები. ეს დღევანდელი ეპოქის ისტორიული—ბუნებრივი პროცესია და მას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა. ისტორიიდან განწირულია ძველი ქვეყანა და მისი ძალები ან კვდებიან ამ ძველთან ერთად, ან და გარბიან მისგან მოწინააღმდეგე, ახალის ქვეყნის ბანაკებში. ეს ხდება ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველაზე უფრო ნათლად კი ეს რუსეთში მოსჩანს, სადაც ბრძოლა ძველ და ახალ ქვეყნებს შორის სიტყვას და წერას გასცილდა და უფრო „ავტორიტარული საშუალებით, როგორიც არის თოფი, ზარბაზანი, ტყვია“ ხდება, სადაც ამ ბრძოლიდან ახალი ქვეყანა უკვე გამარჯვებული გამოდის. აი აქ, ამ ქვეყანაში, დღეს ბრმაც კი ჰხედავს, თუ სანამდის მივიდა ძველი ბანაკის ნგრევა-გახრწნის პროცესი“.

არაფერი ამის მგზავსი არ ხდება, რასაკვირველია, მოწინავე ქვეყნებში. „კომუნისტი“, რომ თავის მკითხველებს არ ატყუებდეს, ხელს არ დააფარებდა მაგალითად იმ ფაქტს, რომ გერმანიაში ბალშევიკები გაიყვენ ორ ნაწილად, ერთმა მათ განმაარჩევნებში მიიღო მონაწილეობა და სულ **ორი** წარმომადგენელი გაიყვანა რეიხსტაგში, საზღვარ გარეთ დნება რუსეთიდან ხელოვნურად შექმნილი ბალშევიკური პარტია. ეს იმარჯვებს მარტო რუსეთში, და დიდი უბედურება იქნებოდა მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხისთვის, რომ ეს **ახალი ქვეყნის** გამარჯვებას ნიშნავდეს: რუსეთი ის „ახალი“ ქვეყანაა, სადაც ყველაზე უფრო იტანჯება მუშათა კლასი. ეს არ არის დროებითი მოვლენა. ეს მოვლენა გარდაუვალი იქნება, სანამდის ბალშევიკური პარტიის ხელშია მართვა-გამგეობა.

ძველი და ახალი ქვეყნის შეჯახება ხდება მხოლოდ დასავლეთ ევროპაში და იქ ახალის გამარჯვებას, მისი ძალების შეკავშირებას ხელს უშლის რუსეთის ბალშევიზმი. რაც მალე მოიხდის ამ ავათმყოფობას მშრომელი ხალხი, მით უკეთესი იქნება ახალი ქვეყნისთვის.

„კომუნისტის“ მკითხველებს

VII

განაგრძონ ბრძოლა.

პატარა კაცისთვის საჭიროა პატარ
ილიუზია, თავის დაიმედება. უამისო
ის ვერ იცხოვრებს ქვეყანაზე. პატარ
„კომუნისტი“ თავს ინუგეშებს გუშინ-
დელ ნომერში. გულკეთილი ვარ და არ
მიყვარს იმედების წართმევა. მაგ-
რამ მაინც ვიტყვი, რომ „კომუნის-
ტის“ „მწერლებს“ ხელები გაუშმდე-
ბათ, მელანი და ქაღალდი გამოელევა
სანამდის მათი უკბილო და გულმოს
ლი კამათი მე ზურგს ამიწვავდეს.

„კომუნისტის“ საკამათო წერილები
შესახებ მე ვსწერდი გუშინწინ—კარ
გია ეს. **კამათი მე სასარგებლოთ მიმ**
ჩნია და საჭიროთაც თქო. ესაა დაბ
ჭდილი სიტყვა-სიტყვაზე „ერთობის
მე-143 ნომერში. „კომუნისტი“ კითხუ
ლობს ამ სიტყვებს და ამბობს, რომ მ
ვითომ „მეორეჯერ ვთხოულობ სალი
ტერატურო ბრძოლის გათავებას“.

სად არის აქ ლოღიკა? უჭკუობის ბრა
ლია ამისთანა დასკვნა, თუ უპატიოსნო
ბის? ნუ გაურბის გაზეთი პირდაპირ პა
სუხს პირდაპირ კითხვაზე. როდის მო
ვითხოვე მე სალიტერატურო ბრძოლი
შეწყვეტა?

მე ვსწერდი,—რისთვის დასჭირდა
„კომუნისტის“ მებრძოლებს მარქსის დ
ენგელსის წიგნებიდან ეს გრძელი ამო
ნაწერები, როცა ამით ისინი ჩვენ აზ
რებს ასაბუთებენ. თავის თავს კი იბერ
ტყავენ თქო.

„კომუნისტის“ რედაქციას კი აქედან
დასკვნა გამოყავს, რომ მე ვითომ მ
თანამშრომლებს „ვეთანხმები პრინც
პიალურ საკითხებში“.

როგორ შეიძლება, რომ ხანში შეს
ლი ადამიანი ასე აზროვნობდეს,
მის ზემო სართულში წმინდა რუსულ
რევოლიუცია არ მომხდარა?

მე ვსწერდი, რომ თითეული
ქონი მარქსის და ენგელსის ნა
დან ამოღებული ძირიანათ უა
ბალშევიკურ მსოფლ მხედველობას
საქმიანობას თქო. „კომუნისტი“ ამა
პირში წყალს იგუბებს, არაფერს ა
ბობს არსებითათ, სწერს მხოლოდ, რო
მე ვითომ ფაქტებს ვაყალბებ და „იქ
დაგვჭირდება გრძელი თუ ამონაწერე
არა, დასაბუთება მაინცაო“.

ველი სიამოვნებით ამ გრძელ „დას
ბუთებას“ და ამონაწერებსაც. ამით
„კომუნისტს“ავალებინებ ხელში მათრ

დღეს

გუშინ დამფუძნებელ კრების სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგ. პ. გეგეჭკორმა გააკეთა განცხადება ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოზე გადაცემის შესახებ. თავის სიტყვაში მინისტრმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ საქართველო ბოროტათ არ გამოიყენებს თავის უფლებებს და ანგარიშს გაუწევს მეზობელ რესპუბლიკების ინტერესებსო. ვრცელ ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

დავაყენებ ფართო ასპარეზზე მკითხველების წინ და ვნახავ ვის მოხვდება ეს მათრახი.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება მისი სალიტერატურო ბრძოლა, მით უარესი იქნება მისთვის.

ერთი ჩემ ფაქტს გაზეთი „აბათილებს“ თავისებურათ. რუსეთის გმირულ პროლეტარიატს ყაჩაღს არქმევსო, გაიძახის ჩემზე.

ვერ შემაშინებენ ამ დემაგოგიური წამოძახილებით. რუსეთის კომუნისტებს არა აქვთ რა საერთო რუსეთის პროლეტარიატთან. ერთ დღესაც ვერ გასტანს ბალშევიკური მთავრობა, რომ იქ მუშათა კლასს თავისუფლათ ხმის ამოღება შეეძლოს, რომ წართმეული არ ჰქონდეს მშრომელ ხალხს ყოველ ნაირი უფლება. ბალშევიკების პოლიტიკას, მხარს უჭერენ რუსეთის ნაძირალები, მექრთამეები, სპეკულიანტები. ესენი ყაჩაღურათ იყენებენ ბალშევიკურს „სოციალიზმს“, კაპიტალს იძენენ და ჯიბეებს ივსებენ იმ დროს, როდესაც ხელფეხ შეკრულ პროლეტარიატს შიმშილისგან სული ხდება.

ესენი სარგებლობდენ სამოქალაქო ომით, დენიკინის, კოლჩაკის და სხვა კონტრ-რევოლიუციონერების შემოსევით, ახლა სარგებლობენ პოლონეთის შემოტევით, ესენი უწყობენ ხელს ბალშევიკური მთავრობის დღეგრძელობას. ამ სიბინძურეშია გადგმული მისი ფესვები და ჩვენ ვეუბნებით „კომუნისტის“ თანამოაზრეებს,—მოაშორეთ სისხლში და ჭუჭყში ამოსვრილი ხელები იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ეწოდება სოციალისტური რევოლიუცია.

ხ. დევდარიანი.

„წითელ ადერბეიჯანში“

(ჩამოსულის ნაამბობი)

ახალ მთავრობის გაბატონების უმალვე დაიწყო უნუგეშო ცხოვრება; თუ წინად იშოვებოდა რაიმე სურსათ-სანოვაგე,—ეხლა აღარაფერი არ არის: ყველაფერი გააქვთ ასტრახანის გზით რუსეთში. გააქვთ შაქარი, ბრინჯი, მანუფაქტურა. ამიტომ სიძვირე საშინლად გაიზარდა: შაქარი ღირს—1200 მან. გირვანქა, პური (შავი)—გირვანქა 150—200 მან., პაპიროსი კოლოფი 300 მან., ქიშმიში—500 მ., ფეხსაცმელი—35,000 მ., კვერცხი 30 მ., კარაქი 700 მ. გირ., და ისიც საეჭვო თვისებისა. 1000 მანეთიანი ქართული ბონი ფასობს 3500 მან.

ამ სიძვირესთან ერთად ხალხს ავიწროებს საშინელი რეპრესიები, ყველაფერზე სასტიკი სასჯელია დადებული, სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ., დასაჯეს სიკვდილით გენ. მაყაშვილი და თოფურიძე, სრულიად უდანაშაულონი; შემდეგ, როცა ეს გამოირკვა, შეკითხვაზე ბალშევიკებმა უპასუხეს: რევოლიუცია მძიმე საქმეა („лѣс рубят—щепки летят“) ამბობენ. რეპრესიები გამეფებულია ჯარშიაც, რაზედაც დამყარებულია სასტიკი დისციპლინა.

ცხოვრება ქალაქში თითქმის ჩაკვდა. სანიტარული მდგომარეობა ცუდია. ყველა თეატრები დაკეტილია, გარდა მუშათა კლუბისა. წარმოება შეჩერებულია. მიუხედავად იმისა, რომ ბაქოში გამოცხადდა წარმოების ნაციონალიზაცია და ამასთანავე სამუშაო დღეც გაადიდეს—წარმოება 30 პროცენტით დაეცა.—მუშები პირველათ მეტათ კმაყოფილნი იყვნენ საბჭოთა მთავრობით; მაგრამ როცა შემდეგ შემოიღეს იძულებითი შრომის ბეგარა და სამუშაო დღე გაადიდეს 12—14 საათამდე,—მათ აღფრთოვანებას ფრთები შეეკვეცა. მათ აძლევენ $1^{1}/_{2}$ გირვ. პურს დღეში, მიუხედავათ იმისა, ჰყავს მას სარჩენი თუ არა. დღითი დღე ეს ულუფა მცირდება, და ღირსებაც პურისა მეტათ ეცემა.

კომიტეტების გარეთ თავისუფალი ვაჭრობა ჯერ აკრძალული იყო, შემდეგ ნებადართულათ გამოაცხადეს; როდესაც გამოჩნდა საქონელი,—მოახდინეს რეკვიზიცია. მცხოვრებლებს ასახლებენ ბინებიდან; კომენდანტმა ნესტეროვსკიმ ბრძანებაც გამოსცა დროებით შეეჩერებინათ მუსულმანების ბინებიდან გადმოსახლება, რელიგიურ-ტრადიციული მოსაზრებებით. საზოგადოთ, ნაციონალური ურთიერთობა ძალზე გამწვავებულია; სოფლათ დიდი უკმაყოფილებაა კომუნისტების წინააღმდეგ; საბჭოთა მთავრობის აგენტები ართმევენ ხალხს ყველაფერს, ხდება შეტაკებები; ამ შეტაკებების ნიადაგზე აღმოცენებულია პარტიზანული ომები; მაგრამ ჯერ ამ სტიქიურ უკმაყოფილებას ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოყალიბება ვერ მოუხერხებია: არა აქვთ შეკავშირება. ხან-ხოელის მოკვლის გამო გლოვის ნიშნათ მუსულმანებს მალულათ შავები აცვიათ.

ბაქოში გამგებლობს „რევკომი“; მას ეკუთვნის მთელი ძალა-უფლება, არის მუშათა, ჯარისკაცთა და ასკერთა დეპუტატების საბჭო, რომელიც სულ რამდენჯერმე შეკრებილა. არსებითად, ეს არის დიქტატურა კომუნისტურ პარტიისა; გამგებლობა ადერბეიჯანში მხოლოთ რუსების ხელშია. არა კომუნისტურ პარტიებისათვის მუშაობა პრესისა და სიტყვის საშუალებით არ არსებობს. ბაქოში გამოდის მხოლოდ „კომუნისტი“, სხვა გაზეთები დაკეტილია და გასაქანს არავის აძლევენ. ამნაირი ხალხი ლანძღავს საქართველოს დემოკრატიას. კომუნისტური მთავრობის ძალა-უფლება ჯარზეა დამყარებული.

ჯარი შესდგება წითელ არმიელებისაგან. ცალკე ადერბეიჯანის ჯარი არ არსებობს. ასკერები საბჭოთა წითელ ჯარში გათქვიფეს. ჩამოსვლის დროს წითელი არმიელები დაფლეთილ დაგლეჯილები იყვნენ; მაგრამ ბაქოში მათ ჩაიცვეს ადერბეიჯანის ჯარისკაცთათვის დამზადებული ტანისამოსი. წითელ არმიელები მეტათ დაღლილნი არიან რამდენიმე წლის ომის გავლენით, ჰსურთ სახლში დაბრუნება. ხშირათ გაიგონებთ წითელ არმიელებისაგან: ერთი ბურჟუაზია მოვსპეთ,—ახლა მეორე გამოგვიჩნდაო; ამას მეზღვაურებზე ამბობენ: უკანასკნელები მთვრალები დაეხეტებიან და ჯიბეები ფულებითა აქვთ გავსებული. მაგრამ ისინი ხმა მაღლა ამას ვერ ამბობენ: ეშინიათ დახვრეტის.

საქართველოსთან ომი ჯერ უბრალო თამაშობათ მიაჩნდათ. მაგრამ რამდენიმე ბრძოლის შემდეგ იმედები გაუცრუვდათ. მოახდინეს რეგისტრაცია მობილიზაციისათვის 18—45 წლამდე. დაჭრილები გაკვირვებით ლაპარაკობდენ: ეს ქართველები ყოჩაღი ხალხი ყოფილაო. უკვირდათ ჩვენი არტილერიის სიმძლავრე. გერმანიის ჯარების გარდა, ასეთი ჯარები ჯერ არ გვინახავსო,—გაიძახიან. ქართველი ტყვეები ბაქოს ახლოს კუნძულზე მოათავსეს. მათი თავის მხარეზე გადაყვანა მოისურვეს, მაგრამ, მიუხედავათ მუქარისა და საჩუქრებისა, ეს ვერ შესძლეს. ეხლა უკვე თავშიც აღარ მოსდით საქართველოსთან იარაღით ბრძოლა. ეხლა ჰსურთ აგიტაციით ააფეთქონ შიგნიდან საქართველო. ისინი ამბობენ: ოქროთი უნდა მოვისყიდოთ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბიო, თორემ სხვანაირათ ვერაფერს ვერ უზამთ საქართველოსო. უკვირთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მოქმედება და მის მიერ ხალხის დაკმაყოფილება არსებულ პირობებში. ბაქოში მყოფი ინტელიგენცია და მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი საქართველოსაკენ მოისწრაფიან. უნდათ წამოსვლა როგორც აღთქმის ქვეყანაში. ბევრი ჩამოვიდოდა კიდეც, შეიძლება მავნე პირებიც ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომ ჩვენ საკონსულოს გონივრულათ არ ემოქმედა. საელჩო დიდის გარჩევით იძლევა საქართველოში წასვლის ნებართვას.

ჰაიდაროვის დაპატიმრება. ბაქოში დააპატიმრეს გზათა კომისარი ა. ბ. ჰაიდაროვი. ჰაიდაროვის დაპატიმრება შემდეგ პირობებში მოხდა: ადერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მისია, რომელიც საქართველოში იყო რკინის გზის საკითხებზე მოსალაპარაკებლად, ბაქოში 21 ივნისს დაბრუნდა. ამ მისიასთან ერთად, როგორც მისი წევრი, დაბრუნდა გზათა კომისარი ინჟ. ჰაიდაროვიც. იმავე დღეს, საღ. 5 საათზე ჰაიდაროვი დააპატიმრეს საგ. კომ. ორდერით. ჰაიდაროვს აბრალებენ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა განთავისუფლებას, რომელნიც განჯის აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას. მის ადგილზე დაინიშნა ჩიმდიზინდიმი.(სდს).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 ივნისი.

ფრანგული ცნობები.

მოკავშირეთა ელჩები და გერმანული პრესა.

გერმანული პრესა მიესალმა ბერლინში შარლ-ლორანის დანიშვნას: „ფოსიშე ცაიტუნგი“ აქებს საფრანგეთის მთავრობის არჩევანს. „ლოკალ ანცაიგერი“ ამ არჩევანში ჰხედავს საფრანგეთის სურვილს, რომ მან გერმანიასთან დაიკავოს ეკონომიური დამოკიდებულება. გაზ. „ფორვერტსის“-თვის მოკავშირეთა ელჩების დანიშვნა წარმოადგენს იმას, რომ მათ სურვილი აქვთ გერმანიამ აღასრულოს ვერსალის ხელშეკრულება და ვალები გადაიხადოს.

დიდი ვეზირი საზავო პირობების შესახებ.

„პტი პარიზიენი“ იუწყება: დიდ ვეზირს მიუღებლათ მიაჩნია ის პირობები, რომლებიც ფრაკიასა და სმირნას ეხება. იგი ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომელიც აღნიშნავს, რომ სრუტეები საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოსო. ეს პირობები, ამბობს ის, ოსმალეთს ართმევს ამ ოლქში სუვერენულ უფლებას. მიუხედავათ ამისა ოსმალთა დელეგაცია მზათ არის პრინციპში მიიღოს საერთაშორისო კანტროლი იმ პირობით, რომ ოსმალეთი წარდგენილ იქნეს სრუტეების შესახებ დანიშნულ კომისიაში. ოსმალეთი აგრეთვე წინააღმდეგია ფინანსიური და სხვა პირობებისა, რომლებიც კაპიტულიაციას შეეხება.

საჰაერო ტრანსპორტი.

კვირას გაიხსნა ბაიონ-ბილბაოს სატრანსპორტო საჰაერო ხაზი.

ომის მსხვერპლი.

შერბურგში მოიტანენ 25,000 ამერიკელ ჯარისკაცის ნეშტს, რომელნიც საფრანგეთისთვის დაიღუპნენ. მათ გადააგზავნიან სამშობლოში. გადაგზავნა სექტემბერში დაიწყება.

ბრიანი საფრანგეთის იმპერიალიზმის შესახებ.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მთავრობის პოლიტიკას იცავდა. ლაპარაკობენ საფრანგეთის იმპერიალიზმზე, სთქვა მან, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ელაპარაკნათ საფრანგეთის უანგარობაზეო. სირიაში საფრანგეთი გაბრწყინვებულია მთელი თავისი დიდებით. საფრანგეთის სისხლით არის შეღებილი გზა სირიის თავისუფლებისკენო.

ვენიზელოსის განცხადება საბერძნეთის ჯარის შესახებ.

„პტი პარიზენის“ ცნობით კვირას ვენიზელოსმა მილიერანს განუცხადა, რომ ის მოქმედება, რომელიც საბერძნეთის ჯარმა მცირე აზიაში დაიწყო, არ გადავა აღნიშნულ ჩარჩოებიდან, რომელიც გაისისა და ბულონის კონფერენციაზე იყო წარდგენილიო. მან დაუმატა, რომ ჯარის მოქმედებას აღმოსავლეთის მიმართულებით მიზნათ ჰქონდა ჩრდილოეთის ჯარის ფრთის დაცვა, რომელიც დარდანელისკენ მიემართებოდა.

კონფერენცია სპაში.

ბრიუსელიდან იუწყებიან, მოკავშირეთა წარმომადგენლები 4 ივლისს წავლენ სპაში კონფერენციაზე დასასწრებათ. კონფერენცია 5 ივლისს შესდგება.

ოსმალეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზე.

საზავო კონფერენციაზე მიმავალი ოსმალეთის დელეგაცია რეშიდ-ბეის თავმჯდომარეობით კვირას ინგლისის კრეისრით ტარენტოში მოვიდა. იგი იმ საღამოსვე პარიზში გაემგზავრა.

პორტუგალიის კაბინეტი.

ლისაბონიდან იუწყებიან: პორტუგალიის კაბინეტი შესდგა 10 დემოკრატისაგან (დამახინჯებულია) 3 დამოუკიდებელისა და 1 სოციალისტისაგან, საბჭოს თავმჯდომარე მანონიო მანია ხილვა ფინანსთა მინისტრის პორთფელს იტოვებს. საგარეო საქმეთა მინისტრათ ფრანცისკო კორეია იქნება.

თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

29 ივნისი.

ბერლინი. გერმანული გაზეთები იტყობინებიან, რომ ბერლინის მახლობლათ გერმანელი მახნო—მაქს ჰელცი, ყოფილი დამოუკიდებელი, რომელიც შემდეგ პარტიიდან იყო გაძევებული, ამ ჟამად ჰელცი სამხრეთ საქსონიაში მოქმედებს. იგი აჩერებს მატარებლებს და ადებს კონტრიბუციას და სხ. ჰელცმა შეადგინა განსაკუთრებული „ცეცხლის წამკიდებელი კომისიები“, რომელთა მოვალეობას შეადგენს ბურჟუების სახლების დაწვა და იმ შემთხვევაში თუ მთავრობის ჯარი წამოვა მათ წინააღმდეგ, სახელმწიფო დაწესებულებების დაწვაც. ფალკენშტეინში ყველა საუკეთესო ვილა დამწვარია. ჰელცის ბანდები რამდენიმე ათასი კაცისაგან შესდგება და შეიარაღებული არიან ტყვიისმფრქვეველებითა და ჯავშნიან ავტომობილებით.

კონსტანტინოპოლი. ადაბაზარში სომხების სიკვდილით დასჯის შემდეგ, ქემალისტებმა ბრუსაში ჩამოახრჩვეს სომხების სანაოსნო შკოლების დირექტორი სარქისი და ჩამოახრჩვეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა.

ლონდონი. გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: წითლებთან მოლაპარაკება გრძელდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლოიდ-ჯორჯის მიერ აღებული პოზიცია არის უკან დახევა იმ პოზიციიდან, რომელიც მოკავშირეებს რუსეთის საკითხში ეკავათ. ლაპარაკია უკვე არა მარტო ბერკჰეიმის და კოოპერატივების შესახებ. შემდეგ გაზეთი ასეთ საკითხს სვამს. გამოიჩენს თუ არა საფრანგეთის მთავრობა ისეთივე ფართე შეხედულებას ამ საკითხში, როგორსაც ლოიდ-ჯორჯი იჩენს? დეე ჩაფიქრდეს ლოიდ-ჯორჯი, ათავებს გაზეთი, როგორ ეფექტს მოახდენს მისი საკვირველი გამოსვლები და არაბუნებრივი დამეგობრება.

პარიზი. ლატვიის და ლიტვის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შესახებ შეტანილ შეკითხვაზე ბონარლოუმ განაცხადა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ ლოიდ ჯორჯის და მილიერანის ლონდონში შეხვედრის შემდეგ გადაწყდებაო.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდიენი“ იტყობინება, რომ პოლონეთსა და ფინეთს შორის სამხედრო კავშირის შეკვრის საკითხი რეარულად ამ მოკლე დროში გადაწყდება. შეთანხმების ძირითადი დებულებები უკვე მოწესრიგებულია. იგივე გაზეთი იტყობინება, რომ შესაძლებელია ახალ კოალიციაში ბალტიის სახელმწიფოების შესვლაცო.

ჰელსინგფორსი. ფინეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა ესტონეთის მთავრობას დართოს მას ნება მის ტერიტორიაზე რუსეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებისა. ესტონეთის მთავრობამ დააკმაყოფილა თხოვნა და ასეთ ადგილად დორნატი დანიშნა.

პარიზი. გაზეთი „ტანი“ წერილში, რომლის სათაური არის „საბჭოთა ჯოჯოხეთი“, საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას ახასიათებს. ჩვენ ვუცდით პასუხს იმ ანკეტაზე, რომელიც რუსეთის მდგომარეობის შესახებ ხალხთა ლიგამ შეიმუშავა, მაგრამ უამანკეტოთაც, ჩვენ უკვე მივიღეთ დაწვრილებითი ცნობები ჩვენ თანამემამულეთაგან, რომელთაც ჰქონდათ უბედურება რუსეთში დარჩენილიყვნენ და რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინეთ დაბრუნდენ საფრანგეთში. მათ შორის არის ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენლები. მათ შორის არიან აგრეთვე მუშებიც მათ 30 თვე დაყვეს რუსეთში და ისინი საუცხოვოთ გვიხატავენ თანამედროვე რუსეთის მდგომარეობას. საერთო შთაბეჭდილება საშინელებაა. საშინელებამდი უმთავრესათ მიჰყავს ხალხი შიმშილს. ამასთანავე, მიუხედავათ მათი ლოზუნგისა, სოციალისტურ სწორუფლებიანობაზე, სურსათის განაწილება ისეთია, რომ აღმაშფოთებელი უსწორ-მასწორობაა მაშინ, როდესაც ერთი დიდ რაციონს ღებულობს, მეორე სრულიად უპუროდ რჩება. მეოცე საუკუნის კულტურა უკან არის დახეული. ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ შერჩა ძალა-უფლება ამდენ ხანს საბჭოთა მრისხანე მთავრობას. საკმარისია მიუთითოთ პრეტორიანულ დარაჯზე, რომელსაც უცბად აჯილდოებენ. ძალა-უნებურად ახსენდებათ დანტეს „ჯოჯოხეთი“. ფრანგების შთაბეჭდილება რუსეთიდან ისეთია, რომ დასჯილთათვის არ არსებობს შველა. საიდან და ვინ გააჯანსაღებს რუსეთს, ამას ეხლა ვერავინ ვერ იტყვის.

ბერლინი. საერთაშორისო წითელ ჯვრის წარმომადგენელმა ნანსენმა გამოიანგარიშა, რომ ციმბირში ჯერ კიდევ 20,000 ტყვე არის, ამდენივე ტყვე რუსის ჯარისკაცი არის გერმანიაში და ამდენივე საფრანგეთში. ნანსენს განზრახული აქვს, აღძრას საკითხი ისეთ პუნქტების დაარსების შესახებ, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება ტყვეების სამშობლოში დაბრუნება. რუსეთისაკენ მიმავალი გზა გაივლის ფინეთზე, პოლონეთზე და რუმინეთზე. ტყვეების გადაყვანა [illegible] ძვირი დაჯდება იმისთვის, რომ ციმბირიდან ცენტრალურ ევროპაში 60.000 ტყვეების გადმოსაყვანად საჭიროა 700 ათასი გირვანქა სტერლინგი. ამიტომ ციმბირში მყოფმა ტყვეებმა, როგორმე თითონვე უნდა მიაღწიონ მოსკოვამდე.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. განსახილველია ფრიად საშური საკითხები.

◆ **პურის უვარგისობის გამო.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება შემდეგს აცხადებს: ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები მუშათა მაგიდის იმ პურის ხარისხის გაუარესების გამო, რომელიც ცხვება ქალაქის საცხობებში. სხვათა შორის მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს შრომის სამინისტრომ მიმართა ქალაქის მოურავს თხოვნით, რომ მან მიიღოს ზომები პურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის გამო სასურ. განყ. საჭიროთ სთვლის განაცხადოს შემდეგი: განყოფილებამ შემოიღო სასტიკი ზედამხედველობა პურის გამოცხობაზე და მუშათა ყოველი ჯგუფი, რომელიც გააფუჭებს პურს, პასუხს აგებს დისციპლინარულად, მატერიალურად. პურის მდარე ხარისხი შედარებით წინათ გამომცხვარ პურთან აიხსნება იმით, რომ ეხლა პური ცხვება არგენტინის ხორბლისა, რომელიც ხარისხით ბევრით უარესია კანადის ფქვილზე, რომლისგან წინად ცხვებოდა პური. არგენტინის ხორბალი იძლევა შავს და უფრო მძიმე პურს, ამის გარდა იყო შემთხვევები როდესაც სასურსათო განყოფილებას ეძლეოდა ადგილობრივი ხორბალი, დანაგვიანებული, რაიც მიზეზი იყო თავის დროზე წარდგენილიყო სასურსათო განყოფილების მიერ შრომის სამინისტროში.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მოქმედება.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ რესპუბლიკის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა მოქმედების ანგარიში გააკეთა ა. წ. 1 იანვრიდან 1 მაისამდე. ამ ხნის განმავლობაში საფოსტო დაწესებულებებში გატარდა: უბრალო კორესპოდენცია 3,517,504, დაზღვეული ბარათი 181.033, წერილები განცხადებულ ღირებულებით 4.673, გადაგზავნა ფოსტითა და დეპეშები 79.942—380.451,764 მან. თანხის ოდენა, ფასიანი ამანათები 2.853, უფასო ამანათები 11.183, სხვა და სხვა დეპეშა 1.369,920. ანგარიშში ნაჩვენებია საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა მოქმედების თანდათანი გაძლიერება. უბრალო წერილთა რიცხვი აპრილში იანვართან შედარებით 12.416 მეტი იყო. დაზღვეულთა რიცხვი კი 1.565 მეტი და სხვა, აგრეთვე გაძლიერდა ნდობა საფოს.-სატელ. დაწესებულებებისადმი, ეს იქიდან სჩანს, რომ გაიზარდა წერილების რიცხვი განცხადებულ ღირებულებით, რომლის თანხაც იანვართან შედარებით აპრილში 164.426.314 მანეთით მეტი იყო.

◆ **„სოციალური დახმარების დღე“.** თფილისის სოციალურ დახმარების ცენტრალურ კომიტეტის მიერ 26 ივნისს გამართულმა სოციალურ დახმარების დღემ დაახლოვებით 66958 მან. წმინდა შემოსავალი დატოვა. მათ შორის 16,520 მან. შესწირეს უცხო მისიებმა.

◆ **ადერბეიჯანის საგ. საქ. კომისარის ჩამოსვლა.** ორშაბათს, 28 ივნისს საჩქარო მატარებლით თფილისში ჩამოვიდა ადერბეიჯანის საგ. საქმეთა კო-

ერის თვითგამორკვევა და „კომუნისტი“

„კომუნისტი“ კიდევ განაგრძობს კამათს ეროვნულ საკითხზე და, რაც უფრო მეტს ლაპარაკობს, მით უკეთ ააშკარავებს ჩვენ გაზეთში გამოთქმულს ეჭვს. საქართველოს საზღვრებში მობინადრე წვრილ-წვრილ ერების თავგამოდებით დაცვა და მათთვის სრული ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა კომუნისტებისთვის მოხერხებული საშუალებაა ქართველი ერის თვითგამორკვევის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მართლაც და სად არის აქ ერთი ბეწო ლოღიკა? ჯერ კიდევ გუშინ ეს ხალხი ბურჟუაზიულ ლოზუნგათ სთვლიდა ერის თვითგამორკვევას, სამჯერ მიმართა საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა „ნარკომს“ ჩიჩერინს ყოფილმა ადერბეიჯანის მთავრობამ: სცნობთ, თუ არა, რომ ადერბეიჯანის ხალხს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება აქვსო? და ჩიჩერინის მხრით სამჯერვე ერთი პასუხი მოვიდა: ჩვენ ვცნობთ **მშრომელთა კლასების** თვითგამორკვევასო. ამით ბ. ჩიჩერინმა არა-პირდაპირ აღიარა: **ერის** თვითგამორკვევის უფლება საბჭოთა რუსეთს თავისთვის სავალდებულოთ არ მიაჩნიაო. რომ ამ არა-პირდაპირი პასუხის აზრი სწორეთ ასეთია, ეს პირდაპირი ფაქტებითაც მტკიცდება. მოვიგონოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩრდილო-კავკასიის გაზეთი „კომუნისტი“ ამ ორი-სამი კვირის წინათ „გაბოროტებულ კონტრ-რევოლიუციონერებათ“ ნათლავდა იმ [illegible]ილებს, რომლებმაც თვითგამორკვევა მოითხოვეს.

და დღეს ჩვენებური კომუნისტები მოულოდნელათ გამოდიან ეროვნული თვითგამორკვევის დროშით ხელში; მათ რაღაც მიზნისათვის დასჭირდათ იმ ლოზუნგის მონახვა, რომელსაც გუშინ თითონვე „ბურჟუაზიულ“ ცრუმორწმუნოებათ სთვლიდენ და რომლის დაცვა ქართველ დემოკრატიის მხრით მათ მიაჩნდათ „ბურჟუობის“ და „სოვლაშატელობის“ ნიშნათ. „კომუნისტი“ საზოგადოთ უფრთხის პირდაპირ პასუხებს ჩვენს მიერ დაყენებულ კითხვებზე, მაგრამ რომ მისი ასეთი წაჯექ-უკუჯექობა მის მკითხველების თვალში აშკარათ დასანახი გახდეს, ჩვენ ვუყენებთ მას სრულიად უბრალო საკითხს და მოვითხოვთ გადაჭრილ პასუხს:

მუდამ იცავდენ კომუნისტები ერის თვითგამორკვევის უფლებას, თუ ამ პრინციპის თავგამოდებით დამცველები ისინი გახდენ მხოლოდ დღეს, როდესაც საქართველოს საზღვრებში უხდებათ მოქმედება?

——

„კომუნისტი თავს იკატუნებს, ვითომც ვერ გაუგია ის აზრი, რომელიც ჩვენ თურმე ასე „ეზოპურათ“, ე. ი. ბუნდოვანათ გამოვთქვით. რომ „კომუნისტისათვისაც“ გასაგები გახდეს ჩვენს გაზეთში გამოთქმული დედა-აზრი, ერთხელ კიდევ განვმარტავთ მას.

დიახ, ჩვენ მუდამ გვწამდა და დღესაც გვწამს ერის თვითგამორკვევის პრინციპი. ამ პრინციპის აღიარებაში ჩვენ არავითარს ოპორტუნიზმს და მერყეობას არ ვიჩენთ, როგორც ამას სჩადიან კომუნისტები. კიდევ გავიმეორებთ იმას, რასაც კომუნისტები ვერ დაარღვევენ: მათ ერის თვითგამორკვევა სწამთ იმ ერისათვის, რომელიც საბჭოთა რუსეთისადმი აშკარა მიდრეკილებას იჩენს და რომლის ეროვნულ თვითგამორკვევის ნაყოფი იქნება საბჭოთა რუსეთთან შეერთება. მაგრამ კომუნისტები არ სცნობენ თვითგამორკვევას იმ ერისათვის, რომელიც თანაგრძნობით არ უყურებს საბჭოთა რუსეთის წესებს. კიდევ უფრო მეტი: კომუნისტები ხშირად არ სცნობენ **მთელი ერის** თვითგამორკვევის უფლებას; მაგრამ ისინი ხშირად გამოდიან რომელიმე ერის ერთი **მცირე ნაწილის** თვითგამორკვევის დამცველად.

ეს წმინდა **უპრინციპობა** და წაჯექ-უკუჯექობაა და ჩვენ შორის ამ არა საკადრისის თამაშს ადგილი არ ჰქონია და არც ექნება. **ერის თვითგამორკვევა ჩვენ გვწამს**, მხოლოდ ეს უნდა იყოს მართლაც **ერის** თვითგამორკვევა. ჩვენ გვწამს, მაგალითად, რომ რუსეთის ერს თვითგამორკვევის უფლება აქვს და არავითარ გარეშე ძალას ნება არა აქვს მის საქმეებში ჩაერიოს და ძალით მოახვიოს თავს ისეთი წეს-წყობილება, რომელიც მას შესაფერისად არ მიაჩნია. ჩვენ გვწამს, რომ სომხეთის რესპუბლიკაში სომეხ ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება, და მთელი ჩვენი არსებით აღშფოთებულნი ვართ, როდესაც ჩრდილოეთიდან მოსული კომუნისტები ან მათი მოკავშირე ოსმალეთის იმპერიალისტები ძალით ახვევენ მას თავს სხვა სახელმწიფოებრივ წესებს. მაგრამ ჩვენ (და, დარწმუნებული ვართ, თვით კომუნისტებიც) სასაცილოდ მივიჩნევთ, რომ, მაგალითად, სამარის ან სარატოვის გუბერნიაში მცხოვრებმა გერმანელმა კოლონისტებმა მოითხოვონ თავისი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. პრინციპიალურ საკითხის გამასხარავება იქნებოდა, მაგალითად, რომ ახალ-ბაიაზეთში მოსახლე რუს-მალაკნებმა მოითხოვონ თავისი ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება ან მესამე კიდევ უფრო კარგი მაგალითი: ჩვენ გვწამს ადერბეიჯანის ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ პოლიტიკურ უსუსურობათ მივიჩნევდით, რომ ბაქოში მოსახლე 10,000-ზე მეტს **ქართველს** მოეთხოვა ქართველ მცხოვრებთა ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება.

როგორც ხედავს მკითხველი, ჩვენ ყველა ერებისათვის ერთი საზომი გვჭირია და კომუნისტის მხრით მტკნარი დემაგოგიაა, როდესაც იგი ამტკიცებს, ვითომც „ერთობა“ „უარყოფდეს სხვა ერებისათვის იმ უფლებას, როგორიც მას თავისთვის მოუპოვებიაო“.

როდესაც ვლაპარაკობთ „ერის თვითგამორკვევაზე“ საქართველოს საზღვრებში, ყოველმა პატიოსანმა და კეთილსინდისიერმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ეს უფლება უნდა მიანიჭოს უპირველეს ყოვლისა იმ ერს, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე სამს მეოთხედს შეადგენს—ქართველ ერს. აქ არ არის არავითარი ეროვნული პრივილეგია: ეს მხოლოდ უბრალო განხორციელებაა იმ საანბანო დემოკრატიული პრინციპისა, რომელიც მოითხოვს, რომ **სახელმწიფო მოეწყოს უმრავლესობის სურვილისამებრ.** რაც შეეხება სხვა არა-ქართველ ერებს, საქართველოს საზღვრებში არ სცხოვრობს გარდა ქართველებისა, არც ერთი მთლიანი ერი: ეროვნული უმცირესობანი საქართველოში წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილებს სხვა და სხვა ერებისა, რომლების მთავარი სხეული საქართველოს ტერიტორიის გარეთ არის დამკვიდრებული. ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლებას ჩვენ ვაღიარებთ იმ ადგილს, სადაც არის ქართველი ერის მთავარი კერა; მაგრამ არავითარ პრეტენზიებს არ ვაცხადებთ თვითგამორკვევაზე იმ ქართველთათვის, რომლებიც ამ კერის გარეშე ბინადრობენ (მაგ., ბაქოში, ალაგირში, ნალჩიკში, მოზდოკში) სწორეთ ასევე სომხების თვითგამორკვევა უნდა განხორციელდეს სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში, ადერბეიჯანის თათრებისა—ადერბეიჯანის რესპუბლიკაში, რუსებისა, რუსეთში მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებს, თათრებს და სომხებს უნდა მივცეთ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება; ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უფლება უნდა მიენიჭოს ადერბეიჯანში მცხოვრებ სომხებს, რუსებს ან ქართველებს. აგრეთვე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცეს რუსეთის საზღვრებში მცხოვრებ სომხებს, ბერძნებს, გერმანელებს და სხ.

ყველა ეს ისეთი მარტივი და უდავო ჭეშმარიტებაა, რომ არა გვგონია ვისმე დაეწყო იმის შესახებ კამათი, კითხვა რომ საერთოდ, განყენებულად მდგარიყო. მართლაც და არ შეიძლება დავა ამ უბრალო აზრის შესახებ: სომხეთში მცხოვრებ თვითეულს ეროვნულ უმცირესობას რომ მიენიჭოს თვითგამორკვევის სრული უფლება, („თუნდაც ეს უფლება ჩამოყალიბდეს, როგორც სახელმწიფოდან გამოყოფა და საკუთარი სახელმწიფოს დაარსება“. კომ“ № 7) ეს იქნებოდა სომხეთის ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების ფეხქვეშ გათელვა. აგრეთვე აზერბეიჯანის თათრების ეროვნული თვითგამორკვევის უფლების უარყოფა იქნება იმის თქმა, რომ ბაქოს, შემახის, ან ნუხის სომხებს, ან მუღანის ველის მალაკნებს, ან ბაქოს ქართველებს უნდა მიენიჭოს ეროვნული თვითგამორკვევის უფლებაო.

ასეთივე უარყოფაა ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლებისა იმის მოთხოვნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა უმცირესობას უნდა თვითგამორკვევის უფლება მიეცესო. მართლაც და ვთქვათ მიეცა თვითგამორკვევის უფლება მანგლისის, ალბულახის და სხვა რაიონებში მცხოვრებ რუსებს და ვთქვათ მათ მოინდომეს საქართველოსაგან გამოცალკევებული სახელმწიფოს დაარსება ან თუნდაც რუსეთთან შეერთება. ვთქვათ, თფილისში, ბორჩალოს მაზრაში და სოხუმის ოლქში მცხოვრებ სომხებსაც მიეცათ ეს უფლება და მათ მოინდომეს საქართველოსაგან ჩამოშორება და სომხეთის რესპუბლიკასთან შეერთება; ასეთივე უფლება მიენიჭა გორის მაზრის ოსობას, რომლებმაც მოინდომეს გორის მაზრის მთელი ჩრდილოეთი ნახევრის ჩრდილო-კავკასიის ოსეთთან გაერთიანება. ვეკითხებით ბ.ბ. კომუნისტებს და მოვითხოვთ გულწრფელად გვიპასუხონ: შესაძლებელი გახდება, თუ, არა, ამისთანა პირობებში **ქართველი ერის თვითგამორკვევის განხორციელება?** ქართველმა ერმა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 75 პროცენტს შეადგენს, თვითგამორკვევის უფლების ძალით მოინდომა: **იქონიოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.** მაგრამ ამავე დროს საქართველოს საზღვრებში ჩასახლებულმა რუსობამ მოითხოვა ამავე საზღვრებში იქონიოს, ვთქვათ, „ალბულახის“, ან „მანგლისის რესპუბლიკა“, ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ხომ უკვე მოითხოვა „ოსეთის კანტონი“, თითქმის „სრულიად დამოუკიდებელი საქართველოსაგან. როგორ შევარიგოთ ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე მოთხოვნა? ქართველი ერის თვითგამორკვევა უნდა შეეწიროს მსხვერპლად არა-ქართველ ერების თვითგამორკვევას, თუ, პირიქით, არა-ქართველ ერების თვითგამორკვევა უნდა შეეწიროს მსხვერპლად ქართველი ერის თვითგამორკვევას, ე. ი. საქართველოს მოსახლეობის 75 პროცენტს აქვს მეტი უფლება, თუ დანარჩენს 25 პროცენტს?

კომუნისტები დაჟინებით მოგვთხოვენ, რომ 25 პროცენტს მსხვერპლად უნდა შევწიროთ 75 პროცენტიო, ეს არც საკვირველია. კომუნისტები უმცირესობის დიქტატურის ხალხია და უმრავლესობის დიქტატურის, დემოკრატიზმის მტერი. ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი მათმა თანდაყოლილმა ჩვეულებამ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი დემაგოგია თეთრი ძაფით არის ნაკერი: ყველასათვის (და, დარწმუნებულნი ვართ, თვით ეროვნულ უმცირესობათათვის) აშკარაა, რომ ბალშევიკებს არსებითად არავითარი ეროვნული უფლებები აქ არ ალაპარაკებთ: დღეს მათ დასჭირდათ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის წამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქართველოში თანამგრძნობნი მოიპოვონ არა-ქართველ მოსახლეობაში მაინც. კომუნისტების ასეთი დემაგოგიური ხრიკები საუკეთესო ნიშანია იმ გაკოტრებისა, რომელიც განიცადა კომუნისტურმა პარტიამ ჩვენში სამი წლის მოღვაწეობის განმავლობაში: ადგილობრივ მკვიდრ დემოკრატიაში იგი დღითი-დღე ჰკარგავს ყოველს ნიადაგს და დღეს ფიქრობს არა-ქართველ ერთა გულის მოგებით, მათში უკმაყოფილების გაძლიერებით უმრავლეს ერის წინააღმდეგ და ამ გზით ეროვნულ შუღლის გამწვავებით აინაზღაუროს ის, რაც წააგო პირდაპირი პოლიტიკური გამოსვლებით. ამ გულუბრყვილო ეშმაკობას ყველა მიუხვდება კომუნისტებს: ცხადია, რომ მათ სრულებითაც არ ალაპარაკებთ საქართველოში მცხოვრებთ ეროვნული უმცირესობათა ინტერესები. ცხადია, რომ, როცა დასჭირდებათ, ამ უმცირესობათა უფლებებს ისევე ადვილათ მოიტანენ მსხვერპლად კომუნიზმის სამსხვერპლოზე, როგორც ადვილათ მოაქვთ დღეს მსხვერპლათ ქართველი ერის თვითგამორკვევის უფლება და საქართველოს დამოუკიდებლობა.

——

„კომუნისტი“ ჩვენ გვიკიჟინებს: ეროვნული საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც ამას „ერთობა“ მოითხოვს, უდრის ლოზუნგს: „საქართველო ქართველებისათვისო“. მართალია ეს, თუ არა? ვისაც წაუკითხავს ის წერილები, რომელიც ჩვენ მოვათავსეთ „ერთობაში„

მისარი ბ. ჰუსეინოვი. ამავე მატარებლით ჩამოვიდა ადერბეიჯანში დანიშნული საქართ. დიპლომ. წარმომად. გრ. ალშიბაია. მატარებლის მოსვლისას სადგ. ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული: სადგურზე ამავე დროს მოვიდენ საქ. საგ. საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე.

სახელმწიფო აგარაკები. მიწათმოქმედების სამინისტროში შუამდგომლობა შემოდის სხვადასხვა კავშირების საზოგადო ორგანიზაციებიდან მოსამსახურეებისათვის და კავშირის წევრთათვის ოთახების დათმობის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო მამულების განყოფილებას არა არქვს არც უფლება და არც საშუალება ასეთი შუამდგომლობა დააკმაყოფილოს.

ჟურნალისტთა საერთო კრება. დღეს, სალამოს 6 საათზე თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ჟურნალისტთა კავშირის საერთო კრება ჟურნალისტთა ხელფასის შესახებ სათათბიროთ. სხდომაზე კავშირის გამგეობა მოხსენებას გააკეთებს თავის მოქმედების შესახებ. დანიშნულ დროს, თუ ქვორუმი არ შესდგა ერთი საათის შემდეგ დაინიშნება მეორე სხდომა, რომელიც კანონიერად ჩაითვლება:

თფ. კონსერვატორია. თფილისის კონსერვატორიის სამხატვრო საბჭომ დაადგინა სასურველად იცნოს კონსერვატორიის საქართველოს რესპუბლიკის ხელში გადასვლა ისე, რომ კონსერვატორია რუსეთის მუსიკალურ საზოგადოებიდან, ან სხვა რომელიმე საზოგადოების დამოკიდებულებიდან განთავისუფლდეს. ეს რეზოლიუცია სახალხო განათლების მინისტრს აუწყეს.

ხ. მამკოდაში. თფილისში დაბრუნდა სოფ. მამკოდიდან ინჟ. კონიუშევსკი. ის სამთო სამმართველომ გაგზავნა იმ სოფლის მდგომარეობის გამოსარკვევათ, რომელიც წვიმის შემდეგ საშინლად დაზარალდა. ინჟ. კონიუშევსკიმ სამთო სამმართველოს აუწყა: ძლიერმა წვიმებმა გადარეცხა გზატკეცილი გლდანსა და მამკოდის შუა, ამას გარდა მიწაზე ნაპრალები გაჩნდა, ნაპრალებია მრავალ სახლებშიც. ალმოცენდა მრავალი წყარო. მიზეზი დანგრევისა—არის წყლის გადმოსვლა ღელეებიდან, რომლებიც სოფელს ორივე მხარეს ჩაუდის.

სალამო. დღეს, მეორე ქართულ კლუბში კავკასიის ტეხნიკუმის მსმენელების მიერ გამართული იქნება სალამო-წარმოდგენა, ნანობაშვილის ინაშვილის, ზარდალიშვილის და ქ-ნ ლამბაშიძის მონაწილეობით.

საბოლოო გამოცდა სახელმწ. თეატრის გუნდის ახალ მომღერალთათვის, საგანგებო კომისიის თანდასწრებით დანიშნულია სახელმწიფო თეატრში დღეს, 30 ივნისს, სალამოს 5 საათ.

წარმოდგენა ჯარში. თფილისის სადარაჯო ათასეულის თეატრში დღეს 30 ივნისს, წარმოდგენილ იქნება „უბედური დღე“, „ჰკუისა მჭირს“ და „ორი მშიერი“.

მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაცია. იუსტიციის მინისტრმა, რ. მ. არსენიძემ წინადადება მისცა კანონთა გადამსინჯველ კომისიას ერთი კვირის განმავლობაში გამოიმუშავოს კანონპროექტი მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაციისთვის, ე. ი. მდგომარეობის აქტები დაბადების, დაქორწინების და სიკვდილის შესახებ.

წარმოდგენა წითელი ჯვრის სასარგებლოთ. დღეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოთ არტ. საზოგ. თეატრში გაიმართება წარმოდგენა: 1) ჟიხარევის მონაწილეობით—„ელექტრა“, 2)—„დიონისეს დღესასწაული“. დასაწყისი სად. $8^1/_1$

საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში და „კაფე დარბაზში“.

გაზეთის შეწყვეტა. რადგანაც ბევრი ვალი დაედოთ, ამიტომ დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები: ოზურგეთში და ნიგოითში. ჩქარა შეუწყდებათ სხვებსაც, თუ ფული არ გამოგზავნეს. კანტორა „განათლება“.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოდ მივიღეთ ისიდორე ღლონტისაგან ჯურყვეთის საზოგადოების სოფ. ყველაში შეგროვილი ათას ოცდა ჩვიდმეტი (1037) მან.

შეცდომის გასწორება. გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მასწ. ს. გძელიშვილის განცხადება. განცხადებაში გამოტოვებულია ადრესი: ნიკოლოზის და ნეკრასოვის ქ. კუთხე, № 14—11, ბინა № 1.

კრებები.

დღეს მუშათა სასახლეში დანიშნულია მეტყავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.

— დღეს, სალამოს 6 საათზედ, ბიუროს შენობაში,—ერთობის ქუჩა (ყოფილი კრუზენშტენის № 4,—დანიშნულია ს. ს. დემ. მ. პ. სომხური სექციის საზოგადო კრება.

ტყვეების ჩამოსვლა ადერბეიჯანიდან

28 ივნისს საგანგებო მატარებლით ბაქოდან თფილისში ჩამოვიდენ გვარდიელები და ჯარისკაცები, რომლებიც საქართველო-ადერბეიჯანის ომის დროს ტყვეთ იყვნენ წაყვანილნი. ამავე მატარებლით ჩამოვიდენ ომის დროს ბაქოში დარჩენილი ქართველები. ტყვეებს სადგურზე მიეგებენ მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ცინცაძე, სახალხო გვარდიის უფროსი ჯუღელი და დამფუძნებელ კრების ზოგი წევრი. ამ შეხვედრას დაესწრენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე და დიპლ. წარმ. ალშიბაია. სულ ჩამოვიდა 60 ჯარისკაცი და გვარდიელი და 4 აფიცერი. ჯუღელი მათ სიტყვით მიესალმა. ჯარისკაცების გარეგნობა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. არიან გამხდარნი და შიმშილით გამოფიტულნი. აცვიათ დაგლეჯილი პერანგები და შარვლები. ზოგს ნარტყმევი ამჩნევია. ერთ ყოფილ ტყვეს თავი აქვს გატეხილი.

ტყვეები დასასვენებლად და გამოსაკეთებლად საავადმყოფოში გააგზავნეს.

ტყვეებმა საქ. დეპ. საავგენ. წარმომადგენელს გადასცეს, რომ ტყვედ წაყვანის შემდეგ მათ წინადადება მისცეს ჩაწერილიყვნენ წითელ ჯარში, მაგრამ უარის თქმის შემდეგ ისინი თითქმის სრულებით გააშიშვლეს და გააგზავნეს კუნძულ ნარგენზე, სადაც ტყვე მოხალისენიც იმყოფებოდენ. ტყვეებს დღეში აძლევდენ 1 ბოთლ წყალს და $^1/_4$ და ხანდახან ნახევარ გირვანქა პურს, რომელიც ბამბის კაკლების ხენჯიდან იყო გაკეთებული. ტყვეები ირონიულად ამბობენ: დღეს ისინი წავიდენ ადერბეიჯანში და იმათ იცხოვრონ, რომლებიც ამბობენ:—ბალშევიკებთან სამოთხეაო.

ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა შეკრიბოს ცნობები იმ რეჟიმის შესახებ, როგორითაც ეპყრობოდენ ჩვენ ტყვეებს ადერბეიჯანში. (სდს).

აღმაშფოთებელი საქციელი

ცნობილია რომაელთა თქმულება:

Demorfuis auf bene aut nihil (განსვენებულთა შესახებ ან არაფერი, ან კარგიო).

შეიძლება თქვენ არ დაეთანხმოთ რომაელთ, მაგრამ განსვენებულის გარშემო წვრილმანი ანგარიშების გასწორება, სრულიად ახალი საქმეა. ეს „საქმე“ გრ. გიორგაძემ იკისრა.

გრ. გიორგაძის საქციელის გვერდის ახვევა ყოვლად შეუძლებელია.

ბაქოს ბალშევიკებმა დახვრიტეს გენ. ბალო მაყაშვილი, ადამიანი უმწიკვლო და სრულიად უდანაშაულო. არავითარ შეთქმულობაში ის მონაწილეობას არ მიიღებდა. ეს თვით ბაქოელმა კომუნისტებმა კარგათ იციან. მოსალოდნელი იყო, რომ „ახალი სხივი“ და გრ. გიორგაძე კომუნისტთა ბარბაროსობას შესაფერ მსჯავრს დასდებდენ. ახლა ყური დაუგდეთ გრ. გიორგაძეს. ის სწერს:

„მერე რამ გადახვეწა. ეს გმირი ადერბეიჯანში, რამ მოაშორა ის სამშობლოს რომელიც მას ასე უყვარდა? ჯარის რეორგანიზაციის დროს, როდესაც ადგილზე გამწესება თითებით სწყდებოდა, ბალო უადგილოთ დატოვეს, ულუკმაპუროთ დარჩა, მან მხედრობის მეტი არაფერი იცოდა და ჩვენი მთავრობის ნებართვით ადერბეიჯანის ჯარში შევიდა.“

დასასრულ: „კომუნისტებმა სიმხეცე ჩაიდინეს, მაგრამ რა ეწოდება იმ მოქმედებას, რომლის მეოხებით ასეთი ერთგული და სასარგებლო პიროვნება სამშობლოდან განიდევნება?„

მკითხველი ხედავს, რომ გრ. გიორგაძე კომუნისტებით არ კმაყოფილდება და სწვდება იმ „თითებს“ რომელმაც ბალო მაყაშვილი „სამშობლოდან განდევნა.“ რომ გრ. გიორგაძეს სავსებით არ დაეკარგა მდგომარეობის გაგებით უნარი, ის უნდა გაჩუმებულიყო იმ კითხვების შესახებ, რომელსაც ეწოდება ჯარის რეორგანიზაცია. მაგრამ სჩანს მას დავთარი დაებნა. ამიტომ საჭიროა სრული სიმართლის აღდგენა.

როცა გრ. გიორგაძე სამხედრო სამინისტროს მოშორდა, საერთო აზრი იყო, რომ აუცილებლათ საჭიროა ჯარის ხელმძღვანელი წრეების გაწმენდა. ეს საქმე სამხედრო მინისტრთან ერთათ იკისრა სამხედრო საბჭომ და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ენერგიული მონაწილეობით. მართალია აქ ჯარის ხელმძღვანელთა თანამდებობაზე გაწესება „თითებით სწყდებოდა“, მაგრამ თითქმის ყველა გადაწყვეტილება ერთხმათ იღებდენ. ეს ცოტაა. რეორგანიზაციის გატარებით ყველანი კმაყოფილი დარჩენ, მათ შორის ცნობილი მხედრებიც. თუ გრ. გიორგაძე გამონაკლისს წარმოადგენდა და რეორგანიზაციით უკმაყოფილო იყო, რათ სდუმდა ის დღემდის?

რეორგანიზაციის დროს ბალო მაყაშვილი გენერლის თანამდებობაზე არ მოხვდა, და ეს იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ გააუქმა თფილისის კომენდანტის თანამდებობა, რომლის მოვალეობას ასრულებდა განსვენებული მაყაშვილი. მან არ მოისურვა ათასეულის უფროსობა და არჩია ადერბეიჯანში წასვლა, რისთვისაც შესაფერი ნებართვა მიიღო. ეს იყო და ეს. რა შუაშია აქ „თითები“ ან და „სამშობლოდან განდევნა“.

ყველაფერი ეს ხომ კარგათ იციან სამხედრო სამინისტროს მაშინდელმა მეთაურებმა, აგრეთვე სამხედრო კომისიისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებმა. ნუ თუ ეს არ იცის გრ. გიორგაძემ? ეს ხომ ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა, მით უფრო, რომ ის თვითონ იყო წევრი სამხედრო კომისიისა. მაგრამ ვთქვათ მან არ იცის, ვინაიდან სამხედრო კომისიაში აქტიურათ არ მუშაობდა. მაშ რათ არ მოიწადინა საქმის გაგება და რათ მისწვდა „თითებს“?

ეს მოხდა იმიტომ, რომ მას მოსვენებას არ აძლევს ვეშაპელიზმი.

მან მოისმინა გრ. ვეშაპელის განცხადება დამფუძნებელ კრებაში „თითების“ შესახებ, რომელიც სწყვეტს ქვეყნის სვე-ბედს და ამ „თითებს“ „ახალი სხივის“ ფურცლებზე ანგარიშს უსწორებს სასიხარულოთ გრ. ვეშაპელისა და ძმათა მისთა.

მახლობელი.

სად არის ინსინუაცია?

შეკითხვა „ახალ სხივის“ რედაქციას.

„ახალ სხივის“ № 9-ში წერილში „რა გაკეთდა პარტიულ ყრილობაზე“ სხვათაშორის, სწერთ: ცალკე ამხანაგების დასამცირებლათ ინსინუაციებსაც მიყვეს ხელი (ვ. წულაძის გამოსვლა) და სხვ.“ საქმე ეხება ჩემს განცხადებას პარტიულ ყრილობაზე გრ. გიორგაძის შესახებ. მე სარეკომენდაციო კომისიაში განვაცხადე, რომ გიორგაძის კანდიდატურას მხარს ვერ დავუჭერ, რადგანაც ის დამფუძნებელ კრების წევრი არის და ამავე დროს ინგლისურ ფირმა „კოსმოსის“ იურისტ კონსულტი. მე ეს მიუღებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია დღესაც, რომ კაცს ისეთი დიდი თანამდებობა ეჭიროს როგორიც არის დამფუძნებელი კრების წევრობა და იმავე დროს იყოს კერძო ფირმის იურისტ კონსულტათ და ისიც ისეთი ფირმის, რომელიც მთავრობასთან ათასგვარ სავაჭრო ოპერაციებშია შეკრული. დამფუძნებელი კრების წევრი, ჩემის ღრმა რწმენით, უნდა თავისუფალი იყოს ყოველგვარ ასეთი გარეშე პირთა გავლენისაგან, რამდენ ათას სასყიდელსაც არ უნდა იღებდეს ის მისგან. ეს ფაქტი ერთი დელეგატის მიზეზით მე ხელახლა მოვითხოვე ყრილობის პლენუმზედაც. საპასუხო განცხადებაში გრ. გიორგაძემ არ უარყო ფაქტი მისი „კოსმოსის“ იურისტ კონსულტობისა, მხოლოდ განაცხადა, რომ მთავრობის საზარალოთ არც ერთხელ არსად არ გამოვსულვარო. მთელი ყრილობისთვის აშკარად დადასტურებულ იქნა ფაქტი, რომელიც მე ავღნიშნე და ბევრი ეგრედ წოდებულ „ოპოზიციიდანაც“ აშკარად ამბობდენ, რომ ასეთი თანამდებობის დაჭერა სწორედ არ შეეფერება დეპუტატის ღირსებასო. მე ვეკითხები „ახალი სხივის“ სარედაქციო კოლეგიას: სად არის აქ ინსინუაცია? ველი პასუხს, თუმცა საპასუხო არაფერი აქვთ.

ვ. წულაძე.

წითელი ჯვრის სალამო

დღეს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში საქართველოს წითელი ჯვრის სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა.

ქართულ წითელ ჯვარს მეტად დიდი მოვალეობა აწევს. განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა ირგვლივ ფრონტით არის მოცული. წითელი ჯვრის გაძლიერება, მისდამი თანაგრძნობა—ეს ნიშნავს იმავე დროს ამ ფრონტებისადმი თანაგრძნობას და დახმარებას. ჩვენი წითელი ჯვარი ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოთ გამაგრებული. ის სულ ახალი დაწესებულებაა, ამიტომ მისი ხელის შეწყობა, თანაგრძნობა ფართო საზოგადოების მიერ, არამც თუ სავალდებულოა, მოვალეობაცაა. დღევანდელი სალამო-წარმოდგენა მიზნათ ისახავს მის დახმარებას, მისდამი თანაგრძნობას. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება მხურვალე მონაწილეობას მიიღებს და წარმოდგენის შემოსავლით ხელს შეუწყობს მისი მატერიალური მხარის გაუმჯობესობას, რომ მით შესაძლებელი გახდეს მის ღონისძიებათა გაძლიერება.

თვით ის ფაქტი, რომ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ცნობილი არტისტი ქალი ჟიხარიოვა, თავდებია იმის, რომ თვით წარმოდგენა საინტერესო იქნება.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში

სასახლეში 27 ივნისს შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სრული შედგენილობის კრება.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე დახოცილთა ხსოვნას.

კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება წარმოებულ მუშაობის შესახებ და გააცნო კრებას მომავალი მუშაობის გეგმა.

მოხდა პრეზიდიუმისა და თავმჯდომარის ხელახალი არჩევნები. თავმჯდომარედ კომიტეტისა ისევ ერთხმად არჩეულ იქნა სერ. ჟორჟოლიანი, ამხანაგებათ ქ-ნი ნ. ნ. გაბაშვილისა და სოლ. დოლიძე. მდივნათ ფანცხავა, ხოლო მოლარეთ ბ-ნი ლალიძე. ამ პრეზიდიუმს დაევალა იმოქმედოს დამოუკიდებლათ ზოგიერთ საკითხებში და აწარმოოს მუშაობა.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ქ-ნი ელიავასი, პოლკოვ. ტ. ართმელაძე და პარკოსაძე.

ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ყანების დამუშავების საქმეში ხელის შეწყობის შესახებ კომიტეტმა დაადგინა ხელი შეუწყოს ამა საქმის მთავრობის მიერ განხორციელებას.

დასასრულ გაირჩა შემოსული თხოვნები, რომელთა შორის ერთდროულ დახმარებაზე კომიტეტმა ყველას უარი უთხრა გარდა ზოგიერთ შემთხვევისა, რადგანაც მთელი თანხა უნდა მოხმარდეს რაიმე მუდმივსა და გამოსადეგ საქმეს, ხოლო ერთდროული დახმარებებით კომიტეტი მიზანს ვერ მიაღწევს.

ყაზბეგში ჯარისათვის თეატრის გასაკეთებლათ გადაიდო 30.000 მან.

დასასრულ კომიტეტმა მოისმინა დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის შუამდგომლობა, რათა კომიტეტმა გაიღოს თანხა საქართველოს დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დელეგატების გასაგზავნათ მომავალ ყველა ქვეყნების ინვალიდთა კონფერენციაზე დასასწრებათ.

კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან ამ საქმეს დიდი თანხა სჭირდება და აქაური ინვალიდებიაა საპატრონო და კომიტეტის მომავალ ზრუნვის საქმეს ისინი შეადგენენ, კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ადგილობრივ უნდა მოხდეს დასახიჩრებულთა პატრონობა, რისთვისაც აირჩიეს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გაეცნოს დასახიჩრებულთა მდგომარეობას, მათ მუშაობას და გაარკვიონ მათი დახმარების ორგანიზაციის მოწყობა თავისი ინიციატივით და მთავრობის დახმარებით. კომიტეტმა სასურველად აღიარა კავშირიდან მოიწვიოს ერთი სრულუფლებიანი წევრი კომიტეტში სამუშაოდ.

დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებაში

დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება ხსნის კოჯორში სანატორიის საზაფხულო პანსიონს ბავშვებისათვის 7-დან 12 წლამდე და დედებისათვის ძუძუმწოვარა ბავშვებით. სანატორია მოთავსებული იქნება საფერშლო აგარაკებში ექიმ სპეციალისტის და ფრებელის კურსებზე მოსწავლეთა მეთვალყურეობით.

17 ივნისს დედათა და ბავშვთა მზრუნველობის საზოგადოების „ბავშვის სახლი“ ინახულეს ყვარელისა და შილდის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის ბავშვების ექსკურსანტებმა და მათ ხელმძღვანელებმა. მათ დაათვალიერეს საბავშო კლუბი, გაეცნენ ბავშვების მუშაობას საბავშო ბაღში და მადლობა გადაუხადეს ბაღის ბავშვებს და მოაგროვეს თავიანთ შორის 350 მ. ბავშვების დასასაჩუქრებლათ. ხელმძღვანელები და ბავშვები „ბავშვის სახლისა“ გულწრფელ მადლობას უხდიან ექსკურსანტებს.

გორის „ბავშვების სახლში“ იმყოფება ორი უპატრონო ბავშვი გორის თავშესაფარიდან; ერთი მათგანი არის ვაჟი 1 წლისა, და მეორე—ქალი 5 თვისა. იმ პირებს, რომლებსაც სურთ აიყვანონ ისინი თავისთვის ფასით, ან იშვილონ, სთხოვენ განაცხადონ საზოგადოების გამგეობაში—პეტრე დიდის ქუჩა, № 8.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების გენერალურ შტაბის უფროსმა შეატყობინა დაღუპულ-დაკარგულ ჯარისკაცების და სახალხო გვარდიელების ცოლებს. საზოგადოების გამგეობა ეხლა იწყებს ამ ოჯახების დათვალიერებას, რათა თავის მზრუნველობის ქვეშ მიიღოს [illegible] ბავშვები.

ფრონტი

(წერილი რედაქციის მიმართ)

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ მადლობას ზურგისადმი სანგრებიდან.

მიმდინარე წლის 15-ტ ივნ. აჭარის ხერბაში დაურიგდათ ჯარისკაცებს ზურგიდან გამოგზავნილი საჩუქრები. დიდ კმაყოფილებას გამოხატავდა თვითეულ მხედრის სახე; და ის აზრი: რომ რკინის ქვეყნულ ფრონტის კედელს ავლოდგენს ფხიზელი ზურგი, [illegible] სამშობლოს სამსახურისთვის.

გამარჯვება მტერზე და მით სამშობლოს, ერის და დემოკრატიულ პრინციპების უზრუნველყოფა იქნება ჩვენი პასუხი ნიშნათ მადლობისა მათდამი, ვინც არ დაივიწყა და თავისი წვლილი გაიღო ფრონტზე მყოფ ჯარისათვის.

მე-№ ქვეითა ათასეულის უფროსი, პოლკოვნიკი **ქურციძე.**

მადლობა საჩუქრისთვის!

(ჯარისკაცის წერილი)

კოჭვია ქალო! შენ წილათ გხვდა შენი დაძმისული მომკა. შენი კოხტა უშწიკვლო თითებით მოქსოვნილი საჩუქარი წილათ მხვდა მე, რომელსაც არ შემიძლია მადლობა არ გადაგიხადო. შენმა საჩუქარმა იმდენი არ იმოქმედა ჩემზე, რამდენიც შენმა უცოდველმა გულის სიღრმიდან ამომსხვდარმა სალამმა, შენი პაწია თითებით დაწერილმა წერილმა. დიახ! მე, სამშობლოს დამცველ ჯარისკაცს იმედი გამიორკეცდა. მე ფიქრებს ვეჭიდები: თუ შენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ განგიცდია სრულათ სამშობლოს სიტკბო და სიყვარული გამოწვევი შენი სამშობლოს დამცველისთვის საჩუქარი და გულწრფელი მოკითხვა და ამით მიიტანე შენი წვლილადი ჩვენი ტურფა სამშობლოს თავდაცვის სამსხვერპლოზე, მაშინ რა უნდა ჰქნან შენმა მშობლებმა, შენზე უფროსებმა... რას ფიქრობენ ისინი?! მე ეს უკვე ვიცი, ამის პასუხს არ გთხოვ, ჩემო მეგობარო, ვიცი! ვგრძნობ, და ამიტომაც გაბედვ თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის ჯარისკაცის პატიოსან სიტყვას, რომ სანამ ჩემს ძარღვებში სისხლის სისხლი სდუღს, მეც შევასრულებ ჩემს მოვალეობას თქვენს წინაშე, საყვარელ სამშობლოს წინაშე. მტერთ დავედებით ჩვენს ქვეყანას მხარს! ჩვენ ნებას არ მივცემთ მტრებს მურტალი ხელით მოსწყვიტონ და მიწასთან გაასწორონ შენი ნორჩი სიცოცხლე და შენსავით ახალგაზრდა თავისუფლება ჩვენი ქვეყნისა... არა და არა! ლაჩრობას არავართ ჩვეული...

„მოყვრისა ვიცით მოყვრობა,
„მტერს დაუხვდებით მტრულადა;
„და თუ ვერ შევსძლებთ მორევას,
„მოვკვდებით მამაცურადა!..

აი ჩვენი ანდერძი წინაპართაგან ნაანდერძევი. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო პატარა მეგობარო, შენს თხოვნას შევასრულებთ... პატარა ბარათში შენ იწერები: „როგორმე მტერი მოგვიშორე, სირცხვილი არ გვაჭამოთ და შინ მშვიდობით მიდით“. პირველ თხოვნის ასრულებას მხნეთ და გულადათ შევეცდებით, მეორე—ჩემზე არაა დამოკიდებული.

„მაშ გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს“!, „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას“! „გაუმარჯოს საქართველოს მხედრობას“! „ვაშა“! აბა, მეგობარო, შენი უცოდველი ხელებით ერთი ტაში დაუკარი და ამით დააბოლავე ჩემი ბარათის კითხვა. იცოცხლე, ისწავლე [illegible]. ფიქრი ნუ გაქვს. შენი პაწია გული არ შეშფოთდება მტრის შემოსევით.

თქვენი საჩუქრის წილზრგები ჯ.—ქ. **ვანო ნ. განგია.**

ლ. გოცაძის ხსოვნას

ერთი წლისწად შესრულდა მას აქეთ, რაც მიწას მივაბარეთ ლუარსაბ გოცაძე.

ქართველ მასწავლებლებისთვის ბევრ რამეს ამბობს ეს სახელი. ბევრი წრთობა მოგონებია ლუარსაბის სახელთან შეკავშირებული.

განსვენებული პედაგოგი არ ყოფილა ფართოდ სახელგანთქმული მოღვაწე, მისი სახელი არ გრეგინავდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მაგრამ ამავე დროს ის იყო თავმდაბალი, ჩუმი და პატიოსანი მშრომელი. სწორედ ისეთი, როგორიც არის საუკეთესო მასწავლებელი, თითქოს დღისივ ბული, ყველასაგან თვალმოუწოდებლად, მაგრამ ამავე დროს ფრიად სასარგებლო მოქმედი.

იმ მაშინდელ დროში, როცა ჩვენი სკოლა საიმედოთ [illegible] მიჰყავდა რუსის ბიუროკრატიას და შეუბრალებლად ითრგუნებოდა ქართულ მოსწავლე აზრი და გრძნობა, როცა ნორჩი მოსწავლე სულს და გულს საშინელ არტახებით იყო შებოჭილი და თავისუფალ სიტყვის მაგიერ, მონურ ღალადის გაისმოდა ჩვენს სკოლებში, როცა ყოველი ცოცხალი არსება უღელმ ზრდოდა ჩვენი სკოლების ჩანაგრულ კონქუებში, ამ შემდგომის დროში ლუარსაბ გოცაძის მოღვაწეობა [illegible] შავ კაბადონზე.

აქ, ამ პატიოსანი მოღვაწის ახლო შეიძლებოდა დასკვნა გულის დაუზინა და მალამოთ დაიმედა. ვის არ ახსოვს მისი პირიში „განათლება“, რომლის ფურცლებზე არა ერთ და ორ გულდათუთქულ მასწავლებელს ამოუზნდებია თავის გულის ნაღები და [illegible] უცნობებია ჩვენი სკოლის [illegible]. ჟურნალი „განათლება“ ერთად ერთი ორგანო იყო მ შავდ მოსაგონ დროში, რომელიც ფარავსნათით დასტრიალებდა თავს ჩვენს სკოლას და მის ეროვნულ სულს.

და ტყუილადაც არ ჩაუვლია ლუარსაბის ზრუნვას და შრომას. მისი საყვარელი არსება დღეს უკვე თავისუფალია და მის კედლებში თამამად გაისმის თავისუფალი სიტყვა.

ზოგიერთებს შეიძლება ლუარსაბის ღვაწლი არც ისე დიდად მიაჩნდეს, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. თუ ღრმად ჩავხედავთ საქმეს, ადვილად დავინახავთ, რომ ის თესლი, რომელიც უხვად დასთესა ლუარსაბის მადლიანმა ხელმა, დღეს უკვე იღებს ნაყოფს. თუ ჩვენი სკოლა ავრე მალე გაერიხნებოდა და შედარებით უმტკივნეულოდ შეუდგა ბუნებრივ გზას, ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ლუარსაბის წყალობითაც არის, ეს მისმა მოღვაწეობამ გააადვილა ჩვენი სკოლის ავრე იოლად გარდაქმნის საქმე. იაკობ გოგებაშვილის შემდეგ ლუარსაბ გოცაძის მოღვაწეობა დაუვიწყარია ჩვენი სკოლისათვის.

საუკუნო იყოს შენი ხსენება, პატიოსანო მუშაკო.

ვარ. ხურძე.

მღვ. ტიმოთე ბაკურაძე

შაბათს, 26 ივნისს ვილაც ნაძირალებმა ვერაგულათ მოკლეს მღვ. ტიმოთე ბაკურაძე. ტიმოთე იყო ერთ-ერთი თავდადებული მუშაკი მთელ ჩუღურეთში, რომელიც დაუზარებლათ ასრულებდა ყოველგვარ კულტურულ საქმეს. იგი იყო ამორჩეული სასანიტარო მზრუნველთა კომისიის წევრათ და ასრულებდა პირნათლათ დაკისრებულ მოვალეობას. განსვენებული დიდ დახმარებას უწევდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებსაც. იგი თავდადებული მუშაობდა ხალხის საქმეზე. ბევრი ყაჩაღი დეზერტირი მოისპო იმის ენერგიული მუშაობით.

ძვირფასო ტიმოთე! შენ იყავი მხნე და ენერგიული მუშაკი. შენი უანის ფართო დემოკრატიისათვის. შენ არ დაგივიწყებს ის ხალხი, ვისაც შენი უანგარო მუშაობა უნახავს. მშვიდობით, მამაო ტიმოთე! იძინე ტკბილათ!

ალექსანდრე.

სეტყვისაგან დაზარალებ. დახმარება კახეთში

ამ რამდენიმე დღის წინათ თელავიდან ნაფარეულისა და სანიორისკენ ვბრუნდებოდი. სეტყვისაგან გაორბულ ადგილების ყურებას შევეჩვიე. მაგრამ ნახულმა და გაგონილმა მწარე ფიქრები აღმიძრა. ერთს გლეხს 2 ძროხა და 2 ხარი გასასყიდათ მოუდის თელავში—რა ვქნა, სხვა საშუალება არა მაქვს ცოლშვილის გამოსაკვებათ, უნდა დავყიდო საქონელი. მეორე გლეხს ამოუჩრია ოლოთში ტომარა და 18—20 ვერსის მანძილზე მიემერება სიმინდის სასყიდლათ. მართალია, მეუბნება ის, მიწა მოვხანი, სიმინდი დავთესე, მაგრამ იმას ხომ გათოხნა უნდა, ცოლშვილს ხომ სიმშილით არ ამოვხოცავ, გავყიდე რაც რამ მგვგულებოდა, მინდა ცოტაოდენი სიმინდი ვიყიდო, მუშებს და ცოლშვილს ვაჭამო, და იოლათ წავიდე. შედიხარ სოფელში, აქ უფრო საზარელ რამ გესმის. ამა თუ იმ ოჯახს სამი დღეა პური არ უჭამიათ და სხ.

მწარე ფიქრებს მივეცი. ნუ თუ ხსნა არსაიდან არის, ნუ თუ ამ ხალხს უბედურებას არ მოეცდება?

ერობამ, მართალია, მისცა სათესლე სიმინდი, მაგრამ სიმინდს ხომ გათოხნა უნდა, ხარჯი სჭირდება, სიმინდს მოვლა და მორწყვა; პატრონს კიდევ საზრდო; ეს კი შეუძლებელი ხდება და დათესილი სიმინდების გაორბების გზას ადგია. ხალხს მალე მოეცა ბოსტნეული, კარტო, საზამთრო, ნესვი და სხვ. ისინი მარტო ამის ანაბარა დარჩებიან, ამას კი მრავალი გადამდები, კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობა მოჰყვება.

რაშია ხსნა? აი კითხვა, რომელსაც მე ვაძლევდი ჩემს თავს.

ამ კითხვაზე, მე ვგონებ, ვიპოვე შესაფერი პასუხი და ენერგიულათ რომ მოეკიდოს საქმეს ხელი, ამ ხალხს განსაცდელისაგან ვიხსნით.

დაახლოვებით მიწასთან გასწორებულ უნდა იყოს, ჩემის აზრით, ასე 500-მდე კომლი. დანარჩენ სოფლებში მოსავალი ძალიან კარგია, და სწორეთ ამ სოფლებში უნდა იკისროს დაზარალებულთა პატრონობა. „ძმა ძმისთვისაა, შავი დღისთვისაო“, ნათქვამია. ასეთი შავი დღე სწორედ წელს დადგომოდა ჩვენ. მახსოვს სულიერი მამები დადიოდნენ ხოლმე სოფლიდან სოფელში, და [illegible] პურს აგროვებდნენ.

ამნაირივე პურის შეგროვება გადარჩენილ სოფლებში ეხლაც შეიძლება. უფრო უკეთესი, თუ დაარსდება სეტყვისაგან დაზარალებულთა ფონდი. ამ ფონდის სასარგებლოდ ყოველი კომლი უნდა გაეხადოთ მთელ მოსავალს და ეხლა თითო ლიტრა პური ან ორი ლიტრა ქერი. ეს შეგროვილი სულადი სწორად უნდა გადანაწილდეს დაზარალებულ ადგილებს. ამნაირი გადასახადი ყოველ წლობით უნდა გროვდებოდეს, რაც ცოტათ თუ ბევრათ დახმარებას გაუწევს [illegible].

ვინ უნდა იკისროს ეს საქმე?

ეს საქმე აუცილებლად უნდა იკისროს თელავის სამაზრო ერობამ. ყველაზე მეტი ნდობა და ავტორიტეტი ამ დაწესებულებას აქვს ხალხში. ამან უნდა დაავალოს თემებს ეხლავე კალოობას შემდეგ თითო ლიტრა პურის შეგროვება ფონდის სასარგებლოდ და ეს პური კი უნდა გაიგზავნოს დაზარალებულ ადგილებში. ვგონებ, შეგროვებული იმდენი, რომ გაჭირვებულ ხალხი [illegible] თავს სიმინდის მოსვლა-

---

ეროვნულ უმცირესობის უზრუნველყოფის შესახებ და ვინც გაეცნო იმ პოზიციას, რომელზედაც იდგა ამ საკითხში უკანასკნელი პარტიული ყრილობა, მისთვის აშკარა გახდება, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატია მოსურნეა მცირე ერებს საქართველოს საზღვრებში მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი უფლებები (რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ამით მოსახლეობის უმრავლესობის უფლებები არ შეილახოს, ე. ი. დემოკრატიზმის არსებითი პრინციპი არ დაირღვეს). ამნაირი უფლებები, ჩვენის რწმენით, ენიჭებათ მცირე ერებს იმ პროგრამით, რომელიც ჩვენ ამ საკითხში დავისახეთ. ვინც ამის თანახმა არ არის, მან უნდა წინააღმდეგი დაამტკიცოს ჩვენი პროგრამის არსებითად განხილვით, და არა ცარიელი ფრაზებით და დემაგოგიით.

აღსანიშნავია სადავო საკითხის კიდევ ერთი მხარე იმის დასახასიეთებლათ თუ რამდენათ უპრინციპოა, ოპორტუნისტული და დემაგოგიურია კომუნისტების პოზიცია ეროვნულ საკითხში. დღეს კომუნისტები თანაგრძნობით იხსენიებენ ამხ. ირ. წერეთლის სიტყვას ეროვნულ საკითხის შესახებ წარმოთქმულს პარტიულ ყრილობაზე. ყველამ იცის, რომ ირ. წერეთელი იცავდა შეკვეცილს კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას. ყველას ეცოდინება ისიც, თუ როგორი უარყოფით ეპყრობოდნენ მუდამ ბალშევიკები ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის ამ სისტემას: მათ თვალში კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მუდამ ითვლებოდა ოპორტუნიზმის და ბურჟუაზიულ თვალსაზრისის საუკეთესო ნიმუშად. ჩვენს პარტიაში იყო მეორე მიმართულება, რომელიც ეროვნული უმცირესობის უზრუნველსაყოფად საუკეთესო გარანტიად დემოკრატიზმს სთვლიდა და საგანგებო საკონსტიტუციო გარანტია მეტათ მიაჩნდა. გაიმარჯვა საშუალო ხაზმა, რომლითაც ეროვნულ კავშირთათვის საჭირო უფლებების მინიჭება ზედმეტათ მიიჩნია, მაგრამ მაინც საჭიროთ ჩასთვალა კონსტიტუციური გარანტიების შემოღება მცირე ერთათვის.

ბალშევიკებიც მუდამ იმ აზრის დამცველები იყვნენ, რომ არავითარი განსაკუთრებული გარანტიები, გარდა მტკიცე დემოკრატიზმისა, არ არის საჭირო ეროვნული საკითხის იოსაგვარებლათო. ე. ი. ისინი მუდამ იცავდენ იმ თვალსაზრისს, რომლის დღევანდელ დამცველებს „კომუნისტი“ „შოვინისტებათ“ ნათლავს! ეს კიდევ ცოტაა. იყო დრო, როდესაც ბალშევიკების ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსი, ჩვენებური ბალშევიკების ლიდერი ბ. სტალინი ძალიან ნაკლებ სწყალობდა იმ ერებს, რომლების ბედზე ასეთს მოულოდნელს მზრუნველობას იჩენს დღეს „კომუნისტი“. იგი ეკამათებოდა კულტურულ ავტონომიის დამცველებს და ამტკიცებდა, კულტურული ავტონომიისათვის საჭიროა „ცოტათ თუ ბევრათ კულტურულად და ლიტერატურულად განვითარებული ერიო“. ასეთ ერთა კატეგორიიდან მან გამორიცხა (გარდა მეგრელებისა, აჭარლებისა, სვანებისა, რომლებიც რუსის ჩინოვნიკებთან ერთად ცალკე ერებათ ჩასთვალა) აფხაზები და **ოსებიც**, ის ოსები, რომლების მიმართ დღევანდელი კომუნისტები ასე გულუხვობენ. ეს არა-საკადრისი იდეური ოთურმა აშკარათ ამჟღავნებს, რომ კომუნისტებს სრულიად არ აინტერესებთ მცირე ერთა ბედი: ისინი მუდამ მზათ არიან ეროვნულ საკითხში მაქსიმალისტური ხაზი აიღონ, როდესაც ეს საბჭოთა რუსეთისათვის არის გამოსადეგი, მაგრამ ისინი ნიკოლოზის დროინდელ გადარუსების პოლიტიკასაც ადვილათ დაადგებიან და ფეხქვეშ გათელენ ყოველს ეროვნულს უფლებებს, თუკი ეს ხელს შეუწყობს ამა თუ იმ ერის საბჭოთა რუსეთთან შეერთებას.

დიახ, მხოლოდ და მარტო საბჭოთა რუსეთის ინტერესები ალაპარაკებს ჩვენებურს კომუნისტებს. და თუ ჩვენ მიერ მიღებული პროგრამა მათ მიაჩნიათ ლოზუნგის „საქართველო ქართველებისათვის“ ქადაგებათ, ეს იმიტომ, რომ თითონ სრულიად გარკვეულათ აქვთ დროშაზე დაწერილი, **„საქართველო რუსეთისათვის“**“.

„ყველა ერები რუსეთისათვის!“

ლ. ნათაძე.

მდე და მერე ისინი თვითონ მოუვლიან თავის თავს.

ერთხელ და სამუდამო უნდა მოწესრიგდეს ბრძოლა სეტყვასთან მარტირების და შუშხუნების საშუალებით. სანამ ზარბაზნები წესიერად მოქმედებდნენ ნაფარეულში, ხალხი უზრუნველყოფილი იყო სეტყვისაგან, წელს კი ფისტონები არა ჰქონდათ, ღრუბელს ვერ შეებრძოლენ ზარბაზნების საშუალებით და იმიტომაც გაგვანადგურა.

ნაფარეულის ეროვნულ მამულების გამგე ამბობს, რომ ფისტონების შესახებ დიდიხანია რაც მიწერ-მოწერა გვქონდა მთავრობასთან და მხოლოდ ეხლა, სეტყვის შემდეგ მივიღე ისინი. ვისი მეოხებით დაგვიანდა ფისტონების გამოგზავნა, ვისი მეოხებით თავი ვეღარ დავიცავით სეტყვისაგან და გავნადგურდით, ეს მისმა სვინდისმა ზღოს...

ნაფარეულელი.

თფ. საქალ. სასაკლაოების ექიმ-ვეტერინართა ნივთიერი მდგომარეობა

საქართველოს რესპუბლიკის ექიმ-ვეტერინართა პროფესიონალურ კავშირს მოუვიდა მიწერ-მოწერა შესახებ თფილისის საქალაქო სასაკლაოების ექიმ-ვეტერინართა ნივთიერათ დაკმაყოფილებისა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან აქამდე ეს ექიმები-ვეტერინარები იღებენ თვიურ გასამრჯელოს 3.893 მანეთს. ამავე დროს, რადგან მათ არ ეძლევათ უფასო ბილეთები ტრამვაისა, ქალაქიდან სასაკლაოემდე, წასვლა-მოსვლაზედ ეხარჯებათ დღეში თითოს 18—24 მანეთამდე და თვეში—450—600 მანეთამდე. ასე რომ ფაქტიურად მათი თვიური გასამრჯელო არ აღემატება 3.300 მანეთს. სხვა უწყებათა და დაწესებულებათა ექიმი-ვეტერინარები-კი (ერობების, სამხედრო უწყების და შინ. აქ. სამინისტროს) იღებენ თვიურ გასამრჯელოდ 5250—6500 მანეთამდე. პუნქტის ვეტერინარ-ფერშლებმაც-კი გაუსწრეს მათ ამ მხრივ—ესენი იღებენ თვიურად 6212 მანეთს, ე. ი. სასაკლაოების ექიმ-ვეტერინარებზედ მეტს. თუ მეორე მხრით შევადარებთ სასაკლაოების ექიმ-ვეტერინართა გასამრჯელოს იმავე სასაკლაოების სხვა მოსამსახურე პირთა გასამრჯელოსთან, დავინახავთ, რომ ზედამხედველი ღებულობს 5300 მ., ბუხგალტერი—4247 მ., მექანიკი—4896 მ. 80 კ. და მემანქანეები 3990 მ., ანუ ყველა ეს პირები დღეს ექიმ-ვეტერინარებზედ მეტ ჯამაგირს ღებულობენ, მაშინ, როდესაც მშვიდობიანობის დროს გასამრჯელო სასაკლაოების ექიმ-ვეტერინართა (150 მ. თვეში) აღემატებოდა გასამრჯელოს ზედამხედველისას, ბუხალტერისას და მეხანიკისას, რომლებიც იღებდნენ 100 მ. თვეში და მემანქანეებისას, რომლებიც იღებდნენ 81 მ. 67 კ.

სასაკლაოების ექიმ-ვეტერინარებმა აღძრეს შუამდგომლობა ჯამაგარების მომატებაზე 1 იანვრიდან მიმდინარე წლისა და ითხოვეს 5400 მანეთი, რომელიც შეეფერება სხვა უწყებათა ექიმ-ვეტერინარების თვიურს გასამრჯელოს და აგრეთვე უფასო ბილეთები ტრამვაისა, მაგრამ ქალაქის თვითმართველობამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა (დადგენილება გამგეობისა ა. წ. 13 მაისის № 23 2390) მაშინ, როდესაც უფასო ბილეთები ტრამვაისა მისცა ყველა ექიმებს, რომლებიც მუშაობენ ეგრედ წოდებულ „სავათმყოფო ქალაქში“ (დადგენილება გამგეობისა 20 თებერვლის 1920 წ. № 968)

ექიმი-ვეტერინარები სასაკლაოებისა ფრიად მნიშვნელოვან სანიტარულ ფუნქციებს ასრულებენ და მუშაობა მათი სწარმოებს მძიმე ფიზიკურ და ზნეობრივ პირობებში. წყალსა, უწმინდურობას და სისხლში დგომა, ყინვა-სიცივეში და ორპირ ქარში და სხვ. შეუვნებელნი მათი თანამომუშავენი ათასნაირ ეშმაკობით და ხრიკებით ცდილობენ მუდამ შეიყვანონ შეცდომაში ექიმ-ვეტერინარები, რათა თავიდან აიცილონ დაწუნება ავადმყოფ საკლავის. ხოლო, როცა ექიმი დაიწუნებს ავადმყოფ საქონელს,—საქონლის პატრონები მას ხშირად უმასპინძლდებიან ლანძღვა-გინებით და ხან მუქარითაც.

რადგან გამგეობამ უარი უთხრა ექიმ-ვეტერინარებს მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე,—ეს კითხვა გადაეცა საქალაქო საბჭოს და აგრეთვე რესპუბლიკის ექიმ-ვეტერინართა პროფესიონალურ კავშირს. საეჭვოა, რომ მოსალოდნელმა საზოგადო მომატებამ ჯამაგირისა (მე-11 მ.) გამოაკეთოს მათი მდგომარეობა, რადგან საზოგადო მომატებას არ შეუძლიან კერძოდ სასაკლაოს ექიმ-ვეტერინართა ჯამაგირების აწევა სხვა მოსამსახურე პირების ჯამაგირებთან შედარებით.

ექიმი ვეტერინარი **მ. მირიანაშვილი.**

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 24 ივლისს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. ამხ. ს. თევზაძე აკეთებს მოხსენებას პარტიულ ყრილობის დასრულების, ბათომის მდგომარეობის, კომუნისტების მუშაობის და ადერბეიჯანთან ხელშეკრულობის დადების შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ კრებამ დაადგინა რესპუბლიკის განსამტკიცებლათ და პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლათ მიღებულ იქნას ენერგიული ზომები.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი აცნობს კრებას, რომ ანგარიშის წარმოება კოლექტივში ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული და აქცევს ამ გარემოებაზე კრების ყურადღებას; კრება მოხსენებას ღებულოს ცნობათ და ადგენს,—მიღებულ იქნას საფერი ზომები ანგარიშების სწორათ საწარმოებლათ. ამასთანავე კრება სთხოვს იმ ამხანაგებს და მცირე კოლექტივებს, რომლებსაც ნისიათ აქვთ წაღებული მარკები,—გაუსწორონ ანგარიშები კოლექტივის კასას.

ფინანსიური კომისიის წევრი აცნობს კრებას, რომ ახლო მომავალში კომისია აპირებს დიდი სეირნობის გამართვას, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება კოლექტივის სასარგებლოთ და სთხოვს ამხანაგებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება ამ საქმის მოგვარებაში; განცხადება მიღებულ იქნა ცნობათ.

ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წარმომადგენელი სთხოვს კრებას, რომ ის დახმარება, რომელსაც კოლექტივი უწევდა ხსენებულ ქვეკოლექტივს, გადიდებულ იქნას რამოდენიმე მანეთით; კრება თხოვნას აკმაყოფილებს.

ადგილებიდან წარმომადგენლების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. ვინაიდან პარტიული ყრილობა უკვე დამთავრდა, კრებამ სასურველათ სცნო ახლო მომავალში მოწვეულ იქნას პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ყრილობის მუშაობის შესახებ ამხანაგები გააკეთებენ მოხსენებას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ჩუღურეთის რაიონი. 25 ივნისს ამხ. სანდრო ტალახაძის თავმჯდომარეობით შესდგა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის ს. ს. დ. მ. პარტიის საზოგადო კრება. უცვლელათ იქნა დამტკიცებული ოქმი წარსულ კრებისა. კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. ბაქრაძე საერთო მდგომარეობისა და პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ.

და ბოლოს გარჩეულ იქნა ბაქრაძის მოხსენებიდან გამოყოფილი საკითხი კომუნისტების მთავრობის შესახებ. კითხვამ გამოიწვია კამათი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „გავეცანით რა კოლექტივის მოხსენებას კომუნისტების მუშაობის შესახებ და მივიღეთ რა მხედველობაში, რომ კომუნისტების გამარჯვება საზიანო იქნება არა მარტო ჩვენი პარტიის,—მთელი ჩვენი დემოკრატიისათვის, ჩუღურეთის მცირე კოლექტივი საჭიროთ სცნობს სასტიკათ დაცულ იქნეს პარტიის ყრილობის დადგენილებანი და პარტიის დისციპლინა. ამასთანავე კოლექტივი საჭიროთ სცნობს გამოდიოდეს ჩვენი პარტიული გაზეთი საბჭოთა რუსეთის ფარგლებში, სადაც სწორათ გაშუქებული იქნება ჩვენი მოქმედება, რამდენადაც შესაძლებელია.

ვ. ჭინჭარაძე.

მუშათა შორის

ფოთი. აქაურ ხე-ტყის ქარხნის მუშების მდგომარეობა კრიტიკულია. აგერ ერთი თვე არის, რაც ქარხნები გაჩერებულია, მუშები კი უმუშევრათ არიან ქუჩაში, არავინ ყურადღებას არ აქცევს მათ. კავშირის გამგეობა ვერ დგას თავის სიმაღლეზე: უმუშევრობის გამო კავშირის წევრთაც ლუკმა-პურის ძებნაში უხდებათ თავიანთი ენერგიის დახარჯვა. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, რას უნდა გახდეს გამგეობა, თუ მას არ ექნება რაიმე დირექტივები მთავრობისაგან, რაზედაც შეიძლებოდეს დაყრდნობა; საჭიროა ასეთი უმუშევრობის დროს რაიმე საშუალება ეძლეოდეს მუშას. ასეთი კი ჩემის აზრით იქნებოდა ის, რომ უმუშევრობის დრო'ს მისცემოდათ მუშებს ნახევარი ჯამაგირი. ეს მუშებმა დიდი ხანია მოითხოვეს, მაგრამ კავშირთა საბჭომ უარყო. ეხლა კი, როცა მთავრობა შევიდა საერთოთ მუშების მდგომარეობაში და დაადგინა მისცეს მუშებს სამი ათასი მან. დახმარების სახით, მწარმოებელნიც იძულებული გახდენ ძალაუნებურათ დააკმაყოფილონ მუშები. მწარმოებლები ვილაცის ჩაგონებით მაინც შეეცადენ საქმის თავიანთ სასარგებლოთ მოგვარებას და შეიტანეს ოფიციალური განცხადება შრომის მინისტრის რწმუნებულთან იმის შესახებ, რათა ეპატიებიათ მათთვის ეს დახმარება—სამი ათასი მან. იმ მოსაზრებით, რომ ისინი წარმოების ლიკვიდაციას ახდენენ. რწმუნებული არ შეხვდა თანაგრძნობით მათ განცხადებას, მაგრამ მათ მაინც გაუგზავნეს სამინისტროს წერილობითი თხოვნა. ვნახოთ რა პასუხს მიიღებენ. ახლა კი აუცილებლათ საჭიროა დადგეს კავშირის გამგეობა თავის სიმაღლეზე და მოიყვანოს სისრულეში ის, რაც აქამდის უნდა ყოფილიყო გაკეთებული, ესე იგი აღებინოს მუშებს სალიკვიდაციო თანხა. საჭირო არის შრომის სამინისტროს რწმუნებულმა დაახლოვებით გაიცნოს აქაური მუშების კრიტიკული მდგომარეობა და, რამდენათაც შეიძლება ლიკვიდაციის საქმე დააჩქაროს.

ს. ხაფთახი.

ძირულა. ძირულის ქარხნების სააქციონერო საზოგადოება „შრომაში“ მოიყარა თავი საეჭვო პირებმა. დიდი ხანია ემჩნევა, რომ ისინი ეწევიან მტაცებლურ მრეწველობას და არ აქცევენ სათანადო ყურადღებას წარმოების მოწესრიგებას. პირიქით, თითქოს განგებ იწვევენ დაუსრულებელ კონფლიქტებს მუშებთან. არ აძლევენ თავის დროზე ჯამაგირებს, არ ასრულებენ დაკანონებულ ვალდებულებებს და სხვა. მოთხოვნილება ნაწარმოებზე მუდამ იყო, ამავე დროს ადმინისტრაცია არ ღებულობდა ზომებს ნედლი მასალის დასამზადებლათ და ამით ფერხდებოდა წარმოება. ზემოთ ნათქვამი უკვე ამ დღეებში დამტკიცდა. აქციონერებს მოუხდათ ერთმანეთში დავა, მიმართეს სასამართლოს და საგანგებო გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქარხნის დირექტორს ბ. ფელდს და ქარხნის გამგეს ბ. ზვინგოროდსკის გაუფლანგავთ ორ მილიონ მანეთამდე. საქმის გამოძიება მოხდა 25 ივნისს და როცა აღმოჩნდა ეს ბოროტება, გამომძიებელმა მოახდინა განკარგულება ბ. ფელდის დატყვევების შესახებ, მაგრამ სანამ ეს სისრულეში მოვიდოდა მან (ფელდმა) მოიწვია თავის კაბინეტში სხვა აქციონერები. როცა ეს უკანასკნელნი მიუახლოვდენ კანტორას, ფელდმა მეორე სართულიდან ესროლა რევოლვერი კაიცხოვსკის, პირველი ტყვია ასცილდა, ხოლო მეორე გაიქედა რევოლვერის პირში. ამის შემდეგ საჩქაროთ გამოცხადდა ადმინისტრაცია და დააკავა ფელდი. ის მოათავსეს ადგილობრივ სამმართველოს დარბაზის ერთ ოთახში და მიუჩინეს დარაჯები. მაგრამ პირველი გაჩხრეკის შემდეგ როგორღაც მოუხერხებია მაკრატელის წამოღება, რომელიც ღამე დაუკრავს მკერდში და დაჭრილა. ამაზე მეორე დღეს, ე. ი. 27 ივნისს შეადგინეს დამატებითი ოქმი და დატყვევებული გაგზავნეს ქუთაისში.

მაგრამ ამით არ თავდება ქარხნის კრიზისი, ვინაიდგან ფელდის მსგავსი კიდევ ბევრი დაგვრჩა, სხვათა შორის აქ გახლავსთ აქციონერათ კოლია ღამბაშიძე, ყოფილი აფიცერი, რომელიც სულ ახლო ხანში დაითხოვეს სამსახურიდან ბოროტმოქმედებისთვის და მგონი, საქმე კიდევ არ დაბოლოვებულა. რომ ამ ქარხანას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; ეს არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში და იცის აგრეთვე გზათა დეპარტამენტის საგანგებოთ გამოგზავნილმა კომისიამაც, რომელმაც გამოიკვლია ეს წარმოება ამ ორი თვის წინათ. ამიტომ, რომ ეს წარმოება სრულიად არ გაპარტახდეს, საჭიროა მიექცეს ყურადღება მთავრობის მხრით, რომ სწრაფათ იქნეს გამოკვლეული ამ წარმოების მნიშვნელობა და გადაეცეს ის სახელმწიფოს.

ეს აზრი ძალიან პოპულიარულია, როგორც მუშებში, ისე მცხოვრებლებში ეხლანდელ მესვეურებს კი დიდის ეჭვით უყურებენ.

ოხი.

პროვინცია

ჩოხატაური. ბევრი რამ თქმულა გურიის ხალხის ჭირ-ვარამზე და, შეიძლება, შემდეგშიაც ბევრი ითქვას, მაგრამ ასეთი გაჭივრება, როგორსაც იგი განიცდის დღეს სიმინდის უქონლობის გამო, კალმითაც აუწერელია. „სითაც გავიქეცი,—იქით წავიქეციო“,—იტყვიან ხოლმე; სწორედ ასე ემართება დღეს აქაურ მცხოვრებთ. იყო ადგილობრივ მთავრობის მხრივ იმედები, რომ თუ ფულს შემოიტანთ, იმ შემთხვევაში სიმინდი შევეძლია მოგაწოდოთ მეტად ხელ-საყრელ ფასებშიო. (დაახლოვებით —250 მანეთად ფუთი). ამით დაიმედებულმა მცხოვრებლებმა, რომ სიმინდს მოგვიტანებენ და იქნება როგორმე გადავიტანოთ ეს კრიტიკული მომენტიო, ფულიც შეიტანეს, ვისხაც რამდენი მოეხერხებოდა და გულ-დამშვიდებით ელოდენ, რომ დღეს თუ ხვალ სიმინდსაც მივიღებთო. მაგრამ, როგორც ხმები დადის, ადგილობრივ მთავრობას სიმინდი ვერ უშოვნია და ამბობენ, ვერც მივიღებთო... ამასობაში კი სიმინდი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაძვირებულა. სიმინდის მოუტანლობამ გურიის მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი—ჩოხატაურისას დიდ საგონებელში ჩააგდებს. აქ სიმინდი ბაზარზე ღირს 900 და ხშირად 1000 მანეთიც. სიმინდის გაძვირება იმას უნდა მივაწეროთ, რომ ადგილობრივი ჩარჩები სოფელ-სოფელ დაძრწიან და ხშირად ყიდულობენ ღვინოს და სხვა ნაწარმოებს ჩალის ფასად; სამაგიეროდ მოაქვთ სიმინდი და როგორც მათ მოესურვებათ, ისე ჰყიდიან.

უკანასკნელათ, როცა მთავრობამ ზომები მიიღო,—ბაზარზე გამოტანილი სიმინდი ცოტათი დაკლებულ ფასებში იყიდებოდა, მაგრამ ახლა ამ სოფლის მაწანწალებს ბაზარზედაც აღარ გამოაქვთ სიმინდი. დააქვთ ჩუმათ, დაიარებიან სოფელ-სოფელ სიმინდის გასასაღებლათ და ხალხს ეუბნებიან,—თუ მომცემ ამდენსა და ამდენს (რამდენათაც თვითონ დააფასებს),—მოგცემ, თუ არა, უკანვე წავიღებ; ახლა შემიძლია მოგცე ამ ფასებში, უშველე, თორემ კიდევ გაძვირდებაო. მათი წყალობით სიმინდი თანდათან ძვირდება. მყიდველი ვერ ბედავს შევაჭრებას, რომ გამყიდველი არ გაჯავრდეს და აძლევს იმდენს, რამდენსაც უკანასკნელი მოითხოვს. საჭიროა სასტიკი პასუხი მოეთხოვოს ამ ნაძირალებს, ვისგანაც ჯერ არს. დროა აილაგმონ თავგასულები, რომელნიც ხელოვნურათ აძვირებენ სიმინდს და სულით-ხორცამდე ყვლეფენ ისედაც გაძვალტყავებულ სოფლის მცხოვრებთ.

უფულობით თავი ვერ დაუხწევია ხალხს სიმინდის გაძვირებისთვის. ერთად ერთი იმედი სოფლის ხალხისა იყო აბრეშუმი და მთელ იმედსაც ამაზე ამყარებდა,—მალე პარკს გავყიდი და იქნება იმითი მაინც ცოტახანს დავიკმაყოფილო ოჯახური მოთხოვნილებაო; მაგრამ დახეთ უბედურებას, თითქმის ყველგან აბრეშუმი ორ წილზე მეტი გაფუჩდა. ამან კიდევ უფრო მეტ საფიქრებელში ჩააგდო ხალხი. რა ჰქნან, აღარ იციან.

საჭიროა დაჩქარებით გაეწიოს დახმარება სიმინდის მიწოდებით ჩოხატაურის თემს, თორემ ხალხი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

აქ ყანებს ჯერ კიდევ არ ემჩნევა კარგი მოსავლის ნიშნები. ხშირათ მოდის წვიმა, რის გამო გურიის მთა-გორიანი ალაგები ილეკება და მოსავალიც ფუჩდება. 12 ივნისს ღამით მოსულმა წვიმამ ბევრ ალაგას გადმოხეთქა მდინარეები კალაპოტიდან და წალეკა ახლო-მახლო მდებარე ყანები.

ყურძნის მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი ნიშნები ემჩნევა, თუ მომავალში რაიმემ არ ჩამოუარა და არ გააფუჭა; მაგრამ ეს წვეთია ზღვაში: მარტო ღვინის მოსავალი ხალხის მოთხოვნილებებს და ისიც დღევანდელ პირობებში. ხალხს დახმარება ესაჭიროება, რომ შიმშილმა უკიდურეს სიმწვავეს არ მიაღწიოს და სულიერათ არ დასცეს ხალხი. იმედია, ხალხის გაჭირვება უყურადღებოთ არ დარჩება. იმედია, როგორც წინეთ, ისე ახლაც აღმოუჩენენ დახმარებას ჩოხატაურის თემს სიმინდის მოწოდებით, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება.

ვანო უნგიაძე.

წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „ერთობის“ მე 140 ნომერში მოთავსებულია წერილი ფოსტელის ფსევდონიმით, რომელიც მეხება მე. გადაჭრით ვაცხადებ, რომ წერილის ის ნაწილი, რომელიც მე მეხება მოკლებულია სიმართლეს და ავტორს პატივცემული გაზეთი „ერთობა“ შეცდომაში შეუყვანია.

შევეხოთ თვით წერილს: პირველი, ბ. ფოსტელი სწერს:—„ჩვენ უწყებაში ბნელი ძალები დათარეშობენ, როგორც მათ სურთ და არავის ანგარიშს არ უწევენ. ფოსტის უფროსიც აჰყოლია მათ და თავდავიწყებული ატრიალებს უწყებას როგორც მოესურვება, ვისაც ჰსურს სულ ცას აკრავს, ვისაც არა და პროვინცია მზათ არის მისთვის. ან რას ინაღვლის, თუ ოჯახს უწევს მის „ურჩ“ მოსამსახურეს, ქალაქიდან ქალაქში გადაყვანით; ზოგს კომუნისტობას სწამებს, ზოგს ქურდობას, ზოგს ურჩობას, ასე რომ ერთი პარტიული ამხანაგი აღარ გვეყოლება ფოსტაში, თუ ასე გაგრძელდა მისი თარეში ჩვენში“—ეს დიდი ამონაწერი საილუსტრაციოთ მოვიყვანე. არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა შიგ სიმართლეს არ შეეფერება და ცილის წამებაა. უწყებაში ბნელ ძალებს თარეშის ნებას არავინ მისცემს და არავითარი ასეთი ძალები არ არსებობენ. მე მართალია, აყოლილი ვარ და ვასრულებ მხოლოდ სამმართველოს უფროსის ბრძანებებს და ვემორჩილები უმაღლეს ადმინისტრაციას. შეიძლება ის ჰყავს მხედველობაში ბ. ფოსტელს და მას უწოდებს „ბნელ ძალებს“, თორემ ვერ წარმომიდგენია, რომელ ბნელ ძალებზე ბრძანებს ის. დაასახელოს, გვითხრას ვინ ჰყავს მხედველობაში, მაგრამ განა ამას ის შესძლებს?!. არსად ისე მიზანშეწონილათ და სამართლიანათ მოსამსახურეთა და სამსახურის ინტერესების მიხედვით გადაყვან-გადმოყვანის საქმე არ სრულდება, როგორც მთავარ ფოსტის კანტორაში, მაგრამ ეს საქმე ხომ სამმართველოს უფროსის ხელშია. მართალია, ჩემს მოხსენებასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ვერც ერთ მაგალითს უდანაშაულოთ დასჯილისას ვერ დამისახელებს ბ. ფოსტელი. არც ერთი მოსამსახურე პოლიტიკური მრწამსისათვის ჩემს მიერ არასოდეს არ დასჯილა და ვერც ასეთს დამისახელებს ბ. ფოსტელი, არც ის მომხდარა რომ ვისმესთვის ქურდობა დამებრალებიოს, მით უფრო „პარტიულისათვის“. თუ პარტიულათ და პოლიტიკურათ მომზადებულია კაცი, ვფიქრობ, მოქალაქეობრივი და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობაც ექნება შეგნებული და როგორ მოხდა, რომ ასეთ ღირსეულ ადამიანზე მე ოლქის უფროსს მოვახსენე და ოლქის უფროსმა ჩემთან ერთათ ასეთი „საშინელება“ ჩაიდინა და „პარტიული“ ხალხი გადარეკა? ნურას უკაცრავათ ბ. ფოსტელო თუ სამსახურის დროს ცუღლუტობის, აივანზე ლაზღანდარობის ან მანკიერობის უფლებას არავის ვაძლევ და თუ ასეთს შევნიშნავ დავსჯი. განა უდანაშაულოთ იქნენ დასჯილი მოსამსახურე ა—ვი, ჩ—ძე და სხვები? აბა თქვენი გამამართლებელი ერთი საბუთი მაინც დაასახელეთ, მაგრამ ასეთი არაა და თქვენც არ შეგიძლიათ!

მეორე. გვარდიაში გაწვეულ მოსამსახურეების დაბრუნებას ან და მათ მაგიერ დროებით გამოგზავნას მე თუ ვთხოულობდი, ეს გამოწვეული იყო სამსახურის მიერ, როცა დანარჩენ მოსამსახურეებს უძნელდებოდა თავისი და გაწვეულების მოვალეობის ასრულება. ვეკითხები ფოსტელს მოულოდნელათ 20 მოსამსახურის გვარდიაში წასვლა განა დანაკლისი არ არის ფოსტის კანტორისათვის, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი სასტიკათ განსაზღვრულია და არამც თუ 20, არამედ 3—4 კაცის არ ყოლანა ვნებს საქმეს და ამ დროს ფოსტელი კიდევ მოსამსახურეების განთავისუფლებას თხოულობს. რა ეხარჯება სიტყვების მეტი!

მესამე. არც ერთი მოხელე გორიდან გამოსვლისას მე არ გადმომიყვანია თფილისში, გარდა ერთი დარაჯისა, რომელმაც გორში სამსახურს თავი დაანება, თფილისში ხელმეორეთ შემოვიდა და ამ ჟამად გვარდიაში ასრულებს მოვალეობას. კანცელარიაში მყოფი მოხელეები არც ერთი ჩემთან გორში ნამყოფი არაა, ბევრი მათგანი საქმის კარგი მცდონეა და ნურას უკაცრავათ თუ ბ. ფოსტელი მათ მაგიერობას ვერ შესძლებს. სახელმწიფო ბინაზე მოთავსებულია მოხელეები არა პირად ჩემთან „მეგობრობით“, ან „ნათლიმამობით“ არამედ იმის მიხედვით, თუ როგორი მოვალეობა აქვს დაკისრებული და როგორია მისი ოჯახური მდგომარეობა. თუ მოხელეს უხდება ღამით ან საღამოობით მუშაობა და ოჯახის პატრონია,—იმას ეძლევა უპირატესობა ბინის მიღებაში და ეს პრინციპი ჩემ მიერ არსად არ ყოფილა დარღვეული. განა ამის მაგალითები არაა მოხელეები: მ—ძე, ლ—ვა, ი—ლი, მ—ლი, კ—ლი, თ—ძე, მ—ნი და სხვები და არც ერთი ამ მოხელეთაგანს გორში ჩემთან არ უმსახურნია და არც ჩემი „ძმა-ბიჭი მეგობარია“. აბა დაარღვიოს ეს ბ. ფოსტელმა!

მეოთხე: უპირატესობას ანუ წარჩინებას მოხელეებს აძლევს ოლქის უფროსი და ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში არავის მიუღია წამატება, გარდა ორი მოხელისა, ერთი მათგანი ბაქოში მესამე ხარისხის მოხელეთ იყო და თფილისში მეოთხეთ გადმოყვანილი აღდგენილ იქმნა ძველ უფლებებში, მეორემ კი თვეში 100 მანეთი მიმატება მიიღო, და კანტორაში ვერავინ აღმოჩნდება ისეთი, რომ ამ მოხელეებზე რაიმე საწინააღმდეგო სთქვან, მით უმეტეს, რომ ისინი ისეთ მოვალეობას ასრულებენ, რომ განსაზღვრულ დროზე მეტი მუშაობა უხდებათ.

მეხუთე: თავისუფლებას მოსამსახურეებს აძლევს სამმართველოს უფროსი სათანადო თხოვნის წარდგენის შემდეგ, ასე, რომ ეს საქმე მე ნაკლებათ მეხება, მე მხოლოდ იმას მოვახსენებ სამმართველოს უფროსს, რომ მთხოვნელის მაგიერი საჭიროა თუ არა სამსახურში და რომ მოსამსახურეს თავისუფლება მიეცეს, როცა ამას ის საჭიროებს; მე ყოველთვის ვსცდილობ მის მაგიერი არ მოვითხოვო და მისი საქმე დარჩენილებმა აღასრულონ და ამით გაუადვილო მოსამსახურეს თავისუფლების მიღება. ადვილია სიტყვების კორიანტელის დაყენება, მაგრამ თუ ეს სიტყვები მხოლოდ ზოგადი ფრაზებია და დასაბუთებული არაა,—რა ფასი აქვს, ხომ გამოაშკარავდება მისი სიყალბე. აი საქმის ნამდვილი გარემოება, ბ. ფოსტელო, და მკითხველ საზოგადოებისათვის მიმინდვია იმისი განსჯა, თუ ვინ არის ჩვენ შორის მართალი.

ფოსტის კანტორის უფროსი **ლიპარტიანი.**

ხაშურის სახალხო გვარდიასთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი კომისია უღრმეს მადლობას უძღვნის თფილისის მცხოვრებ გიორგი ალამბარაშვილს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ განყოფილების სამკითხველოს 17 ქართული წიგნი.

შტაბის თავმჯდომარე **ნიკო სიხარულიძე.**

განცხადებანი

დამაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი

გიმნაზიის

ი. ძ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. პ. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე განმეორებითი „გამოცდებზ„: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით“.

(2021 8—6)

ჭანიშვილი
არჩილი მიხეილის ძე

გიმნაზისტი, 18 წლის, მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლია, გავიდა სახლიდგან 9 აპრილს ა. წ. და აქამდის არ დაბრუნებულა, თუ ვინმემ იცის მისი ყოფნის ადგილი, გთხოვთ გვაცნობოთ—გოგოლევის ქუჩა, № 64, ი. ბ. თოდუა.

(2055—3—3)

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი

ზინგერის სისტემისა.

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1790—თ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე.

(1555—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. ზოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) [illegible]

სამხედრო სასწავლებლის პირდა

ქირურგ., ქალის სნეულებანი და სა

შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდ

ტელეფონი 5—97. (1835—თ

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუ

„606“ და „914“) ვენერიული და

სნეულებანი. ავათმყოფების მიღება:

ველ დღე დილის 9—11 ს. და

4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ.

116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ.

ლეფონი 14—28. 1838 —

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყო

ბას, მიღება დღისით; 2—3 საათ.,

ღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. №

(ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2

1951—

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **ვოლ**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყ

სნეულებიან ავადმყოფებს სალ. 4—

პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის),

ლეფონი 7—38. (1741—

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ

ავადმყოფთ ყოველ დღე დილ.

ს. დილის და საღამოს 4—6 ს

მისამართი: მიხეილის პროსპექტი

(საავადმყოფოს ახლო). ტელეფ

14—60. (1808—

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყ

საღამოს 4—6 საათამდის. რტი

ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაჳრანი**

სპეციალურად სიფილისი და მის

დეგები (შეშხაპუნება „606“ და „

ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე

განოების სნეულებანი. ავადმყოფებ

ღება ყოველ დღე დილის 8—11

ღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4

კვირაობით მხოლოდ დილით. მის

ოლის ქ. № 33. (1288 25

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ქალურ, საბებიო და შ

სნეულებით ავათმყოფებს ყოველ

პარასკევს გარდა შუადღის 1—

სალ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22

ფილი სასულიერო სასწავლებე

ტელეფონი 14—13. (1773

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიან

ტგენის და ელექტრო სამკურნალ

ბინეტი. მიღება დილის 11—12

საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. №

ნა 3, ტელეფონი 12—46. (1518

ნიკოლოზ მახვილაძ

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნ

ბით ავათმყოფთ ყოველ დღე, სა

4—6 საათამდე. მისამართი: მოს

ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მა

ლად. (1255 48

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ

ლება (სიფილისი „606“ და „91

შხაპუნება). მიიღება: დილით 8—

საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. №

ზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზი

მართველის პირდაპირ. (1700

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლ**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეუ

ავადმყოფებს დილით 12—2

5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილ

სპეციალურად: სიფილისი (შეშხა

„606“ და „914“) ვენერიული დ

სნეულებანი: მიღება ყოველ დღ

ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნა

მისამართი: კუთხე პლეხანოვის

ლის) პროსპექტის და კიროჩნი ქ

ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათ

მყოფებს იღებს დილის 8—10, ს

4—7 ს. გრიბოედოვის ქ.

(უ. 25

ცეკვის სკოლა ი. ა. როზენბერგისა
27 წ. არსებობს. 27 წ. არსებ

დაიწყო ზაფხულის სეზონი 29 ივნისიდან. სპეციალურად აზიური, ევრ

და საბალეტო ცეკვისა. კარგათ სწავლებისათვის ვიძლევი სრულ გარან

იღება ბავშვები 5 წლიდან დაწყებული. საერთო ცეკვა: კვირაობით სამ

ბით და პარასკეობით სალ. 7½ ს. 10 საათ. მიღება ყოველ დღე: დილის

სალ. 7 ს. მიხეილის პრ. № 105. სასტუმრო „ვეტცელის გვერდით. (2066

სახაზინო რკინის გზების
სამოსწავლო განყოფილებას ესაჭიროება
ორი გამოცდილი ფრებელიჩკები

საბავშვო ბაღნარებისთვის ხელმძღვანელად ხაშურში და სამტრედიაში. ი

მუშტაიდის და ელისაბედის ქ. კუთხე, № 200, ქართული ენის ცოდნა ს

(2045

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.